№ II

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1890

† რედაქციას განზრახვა ჰქონდა, ამ ნომერში დაებეჭ-
და მოკლე ცხოვრებისა-აღწერა განსვენებულის
ბაქრაძისა. მაგრამ რადგან სურათის მოქმზადება მოკლე
ხანში სრულიად შეუძლებელი აღმოჩნდა, აქიტომ ცხოვ-
რებისა-აღწერაც და სურათიც შემდეგის ნომრისთვის
გადიდვა.

ს ა რ ჩ ე ვ ი

ჟურნალ «ჯეჯილი»-სა:

		გვერ.
I.	წიწილა, ლექსი ვაჟა-ფშაველისა	3
II.	მზე და მთვარე, ლექსი (გადმოღებული) აკაკისა	4
III.	წიფლის-ჩიტა, საყმაწვილო ამბავი, ვაჟა-ფშაველისა	7
IV.	ზამთარი ლექსი ს. დადეშკელიანისა	11
V.	მაგდანას ლურჯა, მოთხრობა, ეკ. გაბაშვილისა	12
VI.	ვასიკოს თავგარდასავალი, ლექსი ვ. ო.	23
VII.	საშინელი ღამე, საყმაწვ. ამბავი (ფრანგულიდან)	26
VIII.	ხალხური ლექსი, გამოგზავნილი მთავრიშვილისა	32
IX.	წიქარა, ზღაპარი	34
X.	საათი და მისი ამბავი, ეკ. ნიკოლაძისა	40
XI.	ოქროს-მატყლოვანი ვერძი და იაზონი, ალ. ჭიჭინაძისა	47
XII.	გუტენბერგი, ს. მგალობლიშვილისა	53
XIII.	ჭინჭველები, ეკ. ჭ-ძისა	68
XIV.	თაფლოს ფეხსაცმელი (ფრანგულიდან)	71
XV.	გლეხი და მელია (იგავი), ან-ძანისა	73
XVI.	მარტი, აპრილი და მაისი	74
XVII.	ანდაზები, გამოცანები, ხალხური ლექსები და რებუსი	75

345/1890/2
w 2-6

წიწილა

ორმა წიწილა წაიდო,
იძახდა «წიავ-წიავსა!»
წიწილის თეთრი ბუმბული
ველად გაჭქონდა ნიავსა...
ღვარი წავიდა სისხლისა,
წალეკა მთა და ბარია:
არაგვს გზა დაათმობინა
და გადათელა მტკვარია.
ისმოდა ბებრის ეზოში
კრუხის ქვითინი მწარია...
მოჭსლოდენ მოკეთეები:
კრუხნი, მამლები, ვარია,—
ნათესაობა კრუხისა,
მთელი იმისი გვარია.
ცრემლი იქცევა ქათმების,
დიდი გლოვა და ზარია....

საქ. სახ. ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა
თბილისი

ვაჟა-ფშაველა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მზე და მთვარე

(გადმოღებული)



ნელაში მთვარემ უეცრად
აკვანს სხივები მიჭვინა.
«რა აკაშკაშებს?»—შემკრთალმა
ემაწვილმა წაიტიტინა.

—

რამ შეგაშინა, პაწაწავ,
ხომ არა დაგზმანებია?
მთვარის მაგგვარი კაშკაში
ფუფალას ნაბძანებია!

—

მთელი დღე ცაზე სრიალით
დაღალულ-დაქანცულ მზესა
ცისა და ქვეყნის მფლობელმა
საღამოს ეს გაუწესა:

—

«კმარა, რაც დაბლა ქვეყანას
მაღლით სხივები ჭვინეო!
აწ დროა, ზღვაში ჩახვიდე...
დაწექ და დაიძინეო!

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ქვეყანაც დაღალულია,
ნაშრომი... მოასვენეო!
ხვალ დილას ადრე ამოდი
და ისევ გაათენეო!»

—

სხივებ შეკრებით დაეშვა
მზე დასავლეთის მხარესა,
კარზე მიადგა უნცროს მძას
და შეეეედრა მთვარესა:

—

«ჩემო ლამაზო, ჰირ-ბადრო,
ნაზო, ნარნარო მთვარეო!
მე მივალ დასაძინებლად,
თუ მმა ხარ, მომეხმარეო!»

—

ახლა მზეს სძინავს და მთვარე
დარაჯობს მის მაგიერად...
და აი თუ რად კაშკაშებს
და სხივებსა ჭფენს ძლიერად.

—

ღამე ნათევი, ხვალ დილას
მთვარე აღარას დაეძებს,
მზეს მიადგება კარებზე...
დაუკაკუნებს... აღვიძებს:

—

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ძამლის ეივილი გადვიდა,
ჩიტებმა იწყეს ფრთქიალი,
ცისკრის დარეკეს.. ადექი,
გამოახილე შენც თვალი!»

—

გამოიხედავს მზე, ჰკითხავს:
«რად დაგკარგვია ფერიო?...
რაცა-კი მომხდარა წუხელი,
მიამბე ეველაფერიო!»

—

მთვარეც უამბობს უფროსს ძმას
მთელ ღამის თავ-გადასავალს;
თვითონ ცისკართან შედგება,
მზეს დაულოცავს გზა და კვალს.

—

თუ ღამე ტკბილი ეოფილა
მშვიდობიანი და წყნარი,—
მზეც მხიარულად ამოვა,
პირ-ნათელი, პირ-მომცინარი;

—

თუ არა... განრისხებული
ქვეყანას დაემდურება,
მაღლა წამოვა პირ-ქუშად,
ღრუბლებით შეიბურება.

—

ცა ატირდება... თან ქარიც
ზუზუნით ეტეკის მაღალ ბანს,
და სათამაშოდ ემაწვილებს
მინდორში არეინ წაიეკანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიფლის-ჩიტა

ესე სასისარულო არავისთვის იქნება გაზაფხული, როგორც მთისთვის არის. მთა ყველაზედ მეტად დაჩაგრულია ზამთრისაგან. მთა ამ დროს მკვდრეთითა სდგება: თეთრს სუდარას გაიხდის და კუბოდამ ამოიხედავს... მთის გვერდებზე ალაგ-ალაგ-და სჩანს დარჩენილი თოვლები... მთას უხდება კალთებში ტყე, მიბინდებულ-მიჩუმებული.

არც ტყე დარჩენილა გაზაფხულისაგან უნუგეშოდ. დაუშვენებს იმას თეთრად და წითლად აყვავებული მაყალო და ჰანტა; იქვე ყვავის ტყემალი...

ყვავილები ამკობენ წიფელს, რცხილას, მუხას და ფოთლებ-მთრთოლარე ვერხვსა... თუ ესენი მოსცდებიან და ადარ გაუღიმებენ ტყეს, ასკილა ხომ ადარ უღალატებს; ეს ტყის ვარდი მაინც და მაინც გაიშლება გორ-გორის ჰირებზე; თუ ესეც მოსცდა, შვინდი ხომ ადარ მოსცდება. ისე როგორ მოსცდება შვინდი, რომ ყვითლად ადარ გამოიჭყიტოს გაღმა ჰირმზითიდამ.

სწორედ მესამედ მოვიდა ესლა წვიმა, აქა-იქ დარჩენილი ჰატარ-ჰატარა თოვლები დალასვრა, გააქრო, გააქარწყლა; მთის კალთებში ნამცეციც ადარსად სჩანდა თოვლი, მხოლოდ მთის კუდებში და დაბლა ხევში ეძინა მწოლიარე ზვავსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაღლა თაღი გაუკეთებია ეინულისა. ზედ რომ შესდგე, გაოცდები: ძირიდამ საზარელი ხვიეილი, გრიალი ქვეყანა-გესმის,—ის წეალია, ზვავის ძირზე მიდის... წვიმამ ტეეში დატანებულს ველებს, ეათლადებს, გორ-გურს ნაზამთრალი ჭუჭეი ჩამოჭბანა: ევავილებმა თავები ამოაჩინეს მიწიდამ, ნორჩმა ბალახმა კოხტად ამოეო თავი, ამობზინდა, გაუცინა წვიმას, თავი დაუკრა არეა-მარეს.

ხეებზე კოკორი გასაშლელად მომზადებულა. ფრინველნი დიდს მხიარულებაში იეენენ; ისმოდა ფრიალი, სტვენა, ჭიეილ-ხიეილი; ეველანი დიდს მზადებაში იეენენ. გუგული მხიარულობდა მოგზაურობიდამ შინ მშვიდობით დაბრუნებას. კოდალა ანგრევდა იქაურობას, წიჯრია შესძახოდა წვიმას: «დაწვიმე, დაწვიმე!».

მხოლოდ ერთი წიფლის-ჩიტა იჯდა ბატარა წიფლის შიმელაზე დაღონებული,—ღაბუა, გულწითელი,—და სტიროდა; თვალიდამ ცრემლი ჩამოსდიოდა, ეს ცრემლები უხდებოდა მის თვალებს, ლამაზს სახეს, კოხტა მოშავო ნისკარტს. ჩიტი მოსთქვამდა:

ველო მწვანეო,
გულს მანამეო
შენნი ლხენანი,
ტრფიალებანი!
  გული მიკვდება,
თვალი მიდნება,
როს მაგონდება
ჩემი სახლ-კარი—
სმელეთის დარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ დაანგრია
და გადარია
ის ჩემი შრომა და ჩემი ღვაწლი?
არა სცოდნია მას ცოდვა-მადლი!
ტყეო, მომხედე, შენსა გაზდილსა.
თვალს უ მარიდებ შენს საწყალს შვილსა...

ველნი მწვანობენ,
ჩიტნი სარობენ,
მთანი ღვარობენ,
ცანი ცვარობენ,
ბუნების არსნი ყველა გალობენ...
ეჰ, სხვისა ჭირი
რო ღობეს ჩხირი!....
სადა სარ იავ,
ჩემო დაიავ?!
მითხარი რამე,
ნუგეში მამე!

ამ დროს წიფლის-ჩიტას ახლო ია იშლებოდა, მაგ-რამ ჯერ არ ამოჩენილიყო. ჩიტი რომ ტიროდა, სწორედ ამ დროს ამოაჩინა თავი იამ, გადიყრეკინა თავიდამ წიფ-ლისა და თხილის ხმელი ფოთლები და მიაფრქვია სუნელე-ბა ტყესა.

წიფლის-ჩიტას იის სუნი ეცა და თვალები გა-ახილა, გამოეღვიძა. რა ბედნიერად იგრძნო ჩიტმა ამ დროს თავისი თავი. გაექანა ბუდისკენ და ნახა, რომ მთელი იყო, მისი სამი კვირის შრომა, ჯაფა არ გაფუჭებულიყო, ბუ-დისთვის ხელი არავისაც არ ეხლო.

ჩიტმა დიდი მადლობა შესწირა ღმერთს, ტყეს, ყველა მცენარეთ, ფრინველთა და ნადირთაცკი. სიხარულისაგან ალარ იცოდა რა ექნა, დაიწყო სრიალი: წიფლის შიმელიდამ დიდს ჭანდარს მოევლო წვერებში; იქიდამ დასრიალდა თავქვე, დაჯდა თავზე ნორჩს ჩადუნას, ჩადუნიდამ გადაჯდა ბუერაზე, ბუერიდამ მიესალამა გუგულის კაბას, გუგულის კაბიდამ მიგოგდა ჰატარა წეაროსთან, დალია ორისამი წვეთი წეალი და შემოსძახა გალობა:

შენ გენაცვალე, ტყევ დაბურულო,
ჩემო სიცოცხლევ, სულო და გულო,
რომ საზრდოს მაძლევ,—არ დამჩაგრეო,
ჩემო ძმობელო, ტურფა მხარეო!

ვაჟა-ფშაველა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ ა მ თ ა რ ი

ას გადაეკრა შავი ღრუბელი,
საზარელის ხმით ზუზუნებს ქარი!
თითქოს გვაფრთხილებს ამ თავიდგანვე:
„დაემზადეთო! მოდის ზამთარი“.

—

გაბრუებულა ტყე და მინდორი,
გაშიშვლებულა მთლად მთა და ბარი...
დაიწყო თოვა,—ხმელს დედამიწას
თავს ეხურება თეთრი ზეწარი.

—

შეკრთენ ჩიტები!. ფრთა ჩამოყარეს,
ეძებენ მხოლოდ თავის-შესაფარს..
მუშებიც სახლში დაბრუნებულან,
კერას უსხედან დამშვიდებით გარს.

—

თბებიან და თან გულით ნატრობენ,
კეთილს გაზაფხულს, მოსავლიანსა.
ცეცხლიც გუზგუზებს, თითქო ბანს აძლევს
გლეხების სურვილს გულ-ნაღვლიანსა.

ა. დადეშკელიანისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგდანას «ლურჯა»

I



აგდანა ჯერ ძლიერ ყმაწვილი დედა-კაცი იყო, როდესაც ქმარი მოუკვდა და ოთხი უსუსური ბავშვი ხელზე ულუკმოპუროდ დაჰრჩა. ერთად ერთი ძროხა, რომელიც ამის ბაღანებს ზაფხულობით ლუკმას უსველებდა, ქმრის დამარხვას მოუნდა და სხვა სანუგეშებელი ქვეყანაზედ აღარა გადარჩა რა. რა ექმნა უბედურ ქვრივს, რითი გამოეკვებნა თავისი ობლები? სოფელი „მწირი“, სადაც მაგდანა სცხოვრებდა, იმისთანა უნაყოფო, უწყალოდ მოტვლეპილ მინდორზედ მდებიარებს, რომ იმისი მცხოვრებნი დიდის ვაი-ვაგლახით შოულობენ დღიურს ლუკმას. და აბა ამ გვარი მეზობლებირა ხელს გაუწვდენდენ წვრილ-შვილს, უვაჟკაცოდ დარჩენილს ოჯახს.

ამ უბედურ და ბუნების მხრით განწირულს სოფელს მხოლოდ ერთი ბედნიერება სჭირდა: ქალაქზე ძლიერ ახლო იყო და იქ მცხოვრები გლეხები ამ ქალაქში შოულობდენ სამუშაოს, ბაზარს გასასაღებლად, თუ რამე ნაწარმოები გააჩნდათ გასასაღებელი. მაგდანასაც ამ სიახლოვემ უჩვენა გზა, და ხელი მიჰყო იმისთანა საქმეს, რომელიც ძლიერ მძიმე და თითქმის აუტანელი იყო ამისთვის. მაგრამ რას გააწყობდა, როდესმც ოთხი ბავშვის ტირილი: — „დედა, პური, დედა, პურიო!“ — დღე და ღამე მოსვენებას არ აძლევდა და მშობელს გულს უფათრავდა.

მაგდანა სულ ერთი კვირის დაქვრივებული არ იყო, როდესაც მძიმე შავებში გახვეული, მაწვნის ქილებით ცალ მხარეზე და კარგა მოდიდო რძის კოკით მეორე ხელში გაემგზავრა ქალაქისკენ.

რძეს მაგდანა ყიდულობდა თავის მეზობლებისაგან, საღამობით აყენებდა მაწვნად და მეორე დილაზედ გაუთენებლივ გაუდგებოდა

ხოლმე ქალაქის გზასა. იქ, „იარმუკის“ თავში, ტროტუარზე დაჯდებოდა, მოისხნიდა თავის მძიმე ტვირთს, ჩამოამწკრივებდა სუფთად დახეხილ მაწვნის ქილებს, რძის ლიტრებს და თავ-ჩაღუნული ელოდა მუშტარს.

პირველში საშინლად იტანჯებოდა საცოდავი ქვრივი, რომ ასე აშკარად, გაშლილ მოედანზედ იჯდა ახალი მგლოვიარე, შავებით მოსილი, და გამვლელ-გამომვლელს იწვევდა სასყიდლად. მაგრამ შემდეგ შეეჩვია, მსყიდველებს ლიჭინიც კი დაუწყო, მეტადრე მაშინ, როდესაც მის გვერდით სხვა ბევრი ქვრივ-ოხერიც გამოიჭიმა მაწვნის ქილებით, რძის ლიტრებით და ამის ვაჭრობას შეეცილნენ.

მაგდანა იმდენს შოულობდა ამ ვაჭრობით, რომ სიმშილით არ მომკვდარიყო და ცარიელი ლუკმა მაინც მიეწვდია თავის ობლებისთვის.

თუმცა სოფელი „მწირი“ ქალაქზედ სულ ხუთ-ექვსს ვერსტზე იყო მოშორებული, მაგრამ ამ მცირე მანძილის გავლაც დღეში ორჯერ, მძიმე ბარგით ზურგზედ, ისე სწყვეტდა საბრალო დედაკაცს, რომ ბევრჯელ შინ დაბრუნებული მაგდანა ორი-სამი საათით ულონოდ ეგდო დერეფანში, და თავს დასჩხაოდენ თავისი პატარეები. მუდმივმა მძიმე ტვირთის ზიდვამ მარჯვენა მხარე ჯერ დაუიარავა, და შემდეგ ისე დაუკოჭიჭდა, რომ ყოველ ბარგის აკიდებაზე მაგდანა სიმწარით ცრემლებს ჰყრიდა და ულონოდ წაიჩოქებდა ხოლმე, მაგრამ შემდეგ წამს პირჯვარს გადიწერდა და გაუდგებოდა თავის გზას.

დედის დაბრუნებამდე ოჯახს ჰპატრონობდა მაგდანას უფროსი ორმეტის წლის გოგო სოფო და ჩინებულადაც ჰპატრონობდა. მანამ პატარა და-ძმათ ეძინათ, დაჰგვიდა დარბაზს, კოკებს აავსებდა დილის წყლით, წიწილ-კრუხს საზრდოს მისცემდა და, როცა პატარეები გაიღვიძებდენ, დაჰბანდა იმათ ხელ-პირს, დაჰხეხდა სახვალიოდ საჭირო რძის ჟურჭელს და, პატარა ბავშვით ხელში, გავიდოდა ბანზედ. იქ მზის გულზედ ჩუმად ჩხირკედელაობდა დედის დაბრუნებამდე. ქალაქიდგან მომავალი გზა ამით სოფლის წინ კარგა მანძილზედ იყო გაშლილი და შემდეგ დალმართში იკარგებოდა; დაინახავდა თუ არა დედას პატარა სოფო ალმართზე ამოსულს, ძირს დასვამდა თა-

ვის პატარა დას, სირბილით მიეგებებოდა დედას, ჩამოართმევდა ცარიელ ქილებს, ნაყიდს ხორაგს და ცოტათი მაინც შეუმსუბუქებდა მშობელს ტვირთსა.

მაგდანას ჯაფა აუტანელი გაუხდა ზაფხულში. მკათმთვის მზის მწვავე სხივები ულმობელად სწვავდენ საცოდავს თავპირს, ცეცხლს უკიდებდენ მუდამ ფეხშიშველობით დაფათურულს ფეხებს და ერთიორად უგძელებდენ მანძილს; მაგდანა წამდაუწუმ ისვენებდა გზაზედ, ბევრჯელ დაღალულ-დაქანცულს კიდეც მიეძინებოდა ჩრდილში და საღამომდე ძლივს მიაღწევდა ხოლმე თავის სოფელს. რძის ყიდვა, ადუღება, მაწონების შეყენება უგვიანდებოდა და ერთ პირ დაძინებასაც ვერ მოასწრობდა, რომ მამლები იყივლებდენ, და ისევ ხელ-ახლად გზას უნდა შესდგომოდა. ამის გამო ყოველდღივ ქალაქში სიარული შეუძლებელი შეიქნა და ობლების საზრდომაც იკლო. სოფო და დედა ნახევარზედ მშივრები იყვნენ და თავის წილს ლუკმას პატარეებს უზოგავდენ.

II

მარიამობას ერთ საშინელ ცხელ დღეს, მაგდანა ჯან მიხდილი, საშინელის ქშენით და ოფლში გაწუწული ავიდა იმ ალმართზე, საიდგანაც სწორე გზა იწყებოდა სოფლამდე, და ძალიან გაუკვირდა, რომ სოფო ჩვეულებრივ არ მოეგება, და შიშით გული გადმოუქანდა. ვაიმე, შვილებო!—გულში ხელი ჩაიკრა და თითქმის სირბილით მიიჭრა სახლში. იმის შვილები და სოფლის გოგო-ბიჭები დერეფანში დიდის ღრიანცელით თავს რაღასაც დასტრიალებდენ, მაგდანამ მისწი-მოსწია ბავშვების გროვას და გაოცებული შესდგა; მიწაზედ დაცემული სახედარი იწვა, კისერი საცოდავად გადაეგდო და მძიმედ ქშინავდა. მაგდანას სახეზედ ღიმილმა გადაჰკრა და ბავშვები მირეკ-მორეკა. შემდეგ დიდის გულხმიერებით გაუშინჯა სახედარს წელი, ფეხები და, რა დარწმუნდა, რომ სახედარს მოტეხილი არა აქეს-რაო, უფრო ტკბილად გაიღიმა.

—დედა, იცი, მიხას ეკ ვირი გზის ნაპირას ენახა, დამიძახა და რის ვაი-ვაგლახით მოვაგდეთ შინამდინა. ის იყო უნდა დაბენა და ბალახზე წავსულიყავ, რომ საცოდავი დატორტმანდა და ძირს დაეცა. მე ყვირილს მოვყევი, გოგო-ბიჭები შემოცვივდნენ, და აი შენც ზედ მოხვედი.

—ოჰ, შვილო, თუ სახედარი გამობრუნდა, ჩვენს ბედს ძაღლი არ დაჰყეფს. აბა წადი ჩქარა ბატონიანთ სათივეში, ლობის გვერდებში მიგლიჯ-მოგლიჯე მწვანე, სულ-ნორჩი ბალახი და საჩქაროდ მოირბინე.

მაგდანას სულ დააავიწყდა, რომ დაღალულ-დაწყვეტილი იყო, და საჩქაროდ სახედრის მოვლას შეუდგა. გაათბო წყალი, გადაგლეჯილი და დაიარავებული ზურგი მოჰბანა, ნავთში გაელებული ჩვარი დააფარა, შეკრული კრიჭა გაუსხნა და ცივი წყალი ჩასხა. შემდეგ მარილ-მოყრილი ლუკმა ჩაუდო და გადასავსავებული პირუტყვი მოაბრუნა. ამასობაში სოფოც მოვიდა მწვანე ბალახით დატვირთული და ვირს ალერსით წინ დაუყარა.

III

ორი კვირის შემდეგ, როდესაც სახედარმა იმოდენად მოიხედა, რომ შეეძლო ტვირთის აკიდება, მაგდანამ ერთი-ორად მეტი რძე იყიდა, ერთი-ორად მომეტებული მაწონი შეაყენა, მეზობლებისაგან ორი დიდი გოდორი ითხოვა, გადაჰკიდა თავის ბედაურს, შიგ მჭიდროდ ჩააწყო თავის ქილები და გაუდგა ქალაქის გზასა. დღეს ვერავინ იცნობდა მაგდანას, ისე გალიმებული, ბედნიერებით სავსე იყო იმისი შეხედულობა. ჩვეულებრივ ტვირთ ქვეშ მოხრილი—კი აღარ მიღოღავდა,—არა ამაყად აბიჯებდა და მხიარულად შესცქეროდა თავის თანაშემწე „ლურჯა“ სახედარს და მის გარეშემო სიხარულით მხტუნავ თავის ბავშვებს.

—დედა, დღეს ხომ უფრო ადრე ჩახვალ ქალაქს?—ღიმილით ეკითხებოდა მაგდანს პატარა მისი მიხა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—რასაკვირველია, შვილო, ადრე კი არა, ერთი-ორად ადრე ჩავალ და შუადღემდინ იქნება აქაც მოვბრუნდე.

—რას ამბობ, დედა, შუადღემდე! იქნება საღამომდინაც ვერ მორჩე მაგოდენა მაწვნის გაყიდვას; მთელი სოფლის ქოთნები მათხოვნინე წუხელის,—უთხრა სოფომ დედას.

—გაყიდვისა კი აღარ მეშინიან,—ამ ოთხ-ხუთ თვეში, შვილო, იმოდენა ხალხი გავიცან, იმდენი მუშტარი ვიშოვე, რომ ფიქრი არ არის, მალე დავაცარიელებ მაგ დიდ გოდრებს; მერე ვერა ხედავ, რა ცხელ დღეს იჭერს, მაწვნის მეტს რას შესჭამს ამ პაპანაქებაში ვაჭარი კაცი. ახლა კი დაბრუნდით, შვილო, დაიღლებით!

— არა, დედი, არა, დაღმართამდინ მიგაცილებთ და იქიდამ გიყურებთ, როგორ გოგმანით მიაბიჯებს ჩვენი ლამაზი „ლურჯა“. რა ლამაზი თვალები აქვს, დედა, შავი, ჭკვიანი! მაგრამ ისევ ისე დაღონებული კი გამოიცქირება, როგორც მაშინ, დავარდნილი რომ ვიპოვეთ! ეხლა ხომ აღარა ჭშიან, დაღონებული რაღად არის?

—რა ვიცი, შვილო, ვირის ჯიში აგრეა, სულ დაღონებული არიან ვირები, თავს მაღლა თავის დღეში არ აიღებენ. მაძღრობა ვირს მარტო კუნტრუშზედ შეეტყობა, და განა არა ნახე, გუშინ ჩვენი „ლურჯა“ მინდორზე როგორ კუნტრუშობდა?!

—ხა, ხა, ხა, როგორ დაკუნტრუშებდა გოგიანთ ვირებთან!—გადიხარხარეს პატარეებმა. მანამ მოხვალ, დედი, იმდენ ბალახს მოვუტანთ, იმდენს, რომ სულ შიგ ჩაიფლას ჩვენი „ლურჯა“,—ხტუნვით და აღტაცებით შესჭიკჭიკებდენ მაგდანას შვილები.

IV

მართლაც მაგდანას ღმერთმა მოჰხედა და სახედრის წყალობით იმის საქმე კარგად წავიდა; რძისა და მაწვნის გარდა მაგდანამ ხანდა-ხან კვერცხს და ქათამსაც დაუწყო ყიდვა. ეს ყოველთვის პატიოსნად ვაჭრობდა, რძესა და მაწონს წყალს არ ურევდა, ჭურჭელი სოფოს წყალობით ყოველთვის მშვენივრად დახეხილი ჰქონდა, და ამის გამო მუდმივი მუშტარი ბევრი აიჩინა ქალაქში. გარდა იმისა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მაგდანასაგან ვაჭრობდენ, იბრალებდენ კიდეც ამას, ობლებს და აძლევდენ იმათთვის ნახმარ ტანისამოსს, ფეხ-საცმელს.

შემოდგომამდე მაგდანამ დღიურ ლუკმას იმდენი გადაარჩინა, რომ შეიძლო ცოტაოდენი საწვრიმალო ეყიდნა, და, როდესაც სოფლის საქონელი გაშრა და რძე აღარ იშოვებოდა, საწვრიმალოს ყიდვა დაიწყო; მიეკედლა ერთს მეწვრიმალე ხნიერს დედაკაცს, ამასთან სანახევროდ სავაჭრო იყიდა, წამოჰკიდა თავის სახედარს და წავიღნენ მთიულებში სავაჭროდ. ამ ვაჭრობით ორი-სამი ტომარა ფქვილი მოუმზადა საზამთროდ შვილებს, სახედარს ბზე და ცოტაოდენი ქერი, და ახლა კი დაისვენა, დაუბრუნდა თავის შვილებს, ცეცხლი ააბოლა თავის კერაზედ. ზამთრის დიდ ღამეებში მაგდანა ცეცხლა-პირას იჯდა განუშორებელ მატყლის წინდით ხელში და თან თავის შვილებს უამბობდა ქალაქის ამბებს, თავის თავ-გადასავალს, თავის ვაჭრობის უცოდინრობას პირველში.

გამოცდილება კარგი ყოფილა, შვილო, — დარბაისლურად მიუბრუნდებოდა ხოლმე მაგდანა თავის ჭკვიან გოგონა სოფოს: — პირველად რომ მაწვნით ვაჭრობა დავიწყე ყველა მასხარად მიგდებდა, ყველა ცდილობდა ჩემზე წინ წამდგარიყო, რომ უფრო მალე გაესაღებინა თავის სავაჭრო, და მე კი ბეჩავი ჩუმად აბუზული უკან ვრჩებოდი. ბევრჯელ მტრობით ავმა სულებმა მიწა გადამიყარეს მაწვნებზედ, ბევრჯელ განგებ დამეჯახნენ და დამაქცევინეს, მაგრამ მეც თვალი გავახილე, მეც მიეხვდი, რომ ყველაფერში გამარჯვება სიმარჯვესა და სიმხნეევზეა, და ხმა ამოვიღე, მივიჭარ-მოვიჭარ. მეტადრე როცა მომაგონდებოდა, რომ თქვენ აქ უპატრონოდ, მშიერები, ტიტვლები ეყარენით, ცეცხლი მომედებოდა ხოლმე და მაშინ ვინ იყო ჩემი წინ წამომდგომი. მე ყველაზედ წინ გავრბოდი, მე ყველას უფრო მომეტებულად შევღიჭინებდი, რომ ჩემი რძე-მაწონი ეყიდნათ, — და ლუკმა ამითი ვიშოვე.

V

ნააღდგომევს, როდესაც სოფელში ისევ გახშირდა წველა, მაგდანამ გაამზადა თავის ბედაური, თავის მაწვნის ქოთნები და გაუ-

3207

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გა ქალაქის გზას. მხიარულად მიერეკებოდა თავის „ლურჯას“ და თანაც ღიღინებდა; მაგდანას გული იმედებით იყო სავსე აწყობსა და მომავალზე. სააღდგომოდ შვილები ვერაფრით გავახარე, თითო ჩითის პერანგიც ვერ ამოვაცვი და ეხლა მაინც ვუყიდი რასმე; სოფოს, ჩემს იმედს, ჩემ ჭკვიან გოგონას წითელ ფოსტლებს ამოვუტან,—ენაცვალოს დედა, მე შენ გითხრა, ჩემს პატარეებს უჩემობას შეამჩნევინებს: ისე დაჰგურგურებს, როგორც კარგი დამზნილი დედაკაცი.... ჩემს ვაჭრობას უფრო მოვუმატებ, იქნება ორიოდ გროში მივაგდო სოფოს სამზითვოდ... დერეფნის შუა ბოძი ძლივს იმაგრებს გასაყარ ხესა, იმასაც გამოცვლა უნდა....

ამ ფიქრებში გართული მაგდანა მიუახლოვდა ქალაქს. ის-ის იყო მზემ თავი ამოყო და მშვენივრად გააჩაღა ვერის ბაღები, პატარა ვერის ხევის მომჩქეფარე წყალი და უზარმაზარ სარკესავით აალაპლაპა მტკვრის მდორედ მოძრავი ზემოთა პირი. ახლად გამოღვიძებული ქალაქის ხმაურობა გუგუნივით მოისმოდა. შეშის ურმები, აგურის პოეოსკები, ფურგუნები ერთი ერთმანეთში ირეოდენ, მებაღეები მწვანით დატვირთულ სახედრებით, მერძევე დედაკაცები კოკებით, კინტოები თაბხებით თავზე მიეშურებოდნენ, გარბოდნენ, რომ ბაზარში არ დაგვიანებოდათ. მაგდანამაც ორიოდე სახრე გაჰკრა თავის „ლურჯას“ და ფეხი აიჩქარებინა.

მაგდანა რომ ვერის ალმართს ავიდა, იმის პირ-და-პირ საშინელის სიჩქარით გამორბოდა მთელი ჯოგი სახედრებისა. ამათი პატრონი, მთლად შემურული მენაშხირე, მშვენიერ იორღა ჯორზედ იჯდა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა მიერეკებოდა. ერთმა ვირმა წამოჰკრა გვერდი მაგდანას მაწვნის გოდორს და მთლად შეარყია. მაგდანა გაანჩხლდა და მენაშხირეს წყევლა დაუწყო: „კისერი მოგტყდეს, კისერი, შე ღვთის მუხანათო! რაზედ დამღუპე და დამაქციე! დოსავით გათქვეფილი მაწონი ვილასთან უნდა მივიტანო?

მენახშირემ მხოლოდ ახლა მოიბრუნა კისერი ამისკენ და უცბად შესდგა, საჩქაროდ გადმოხტა ჯორიდგან და მაგდანასთან მიიჭრა:—

ეროვნული ბიბლიოთეკა

დედობილო, ნუ კი იწყევლები ემანდა და აბა მიბძანე, ეგ სახედარი შენ ვინ მოგცა?

მაგდანას მუხლები მოჰკვეთა, პირზედ მკვდრის ფერი გადაედო და ხმის კანკალით ძლივს წაილუღლუღა:—მინდორში დავარდნილი ვიპოვე, სული ამოსდიოდა და მოვაბრუნე.

—„დავარდნილი, სული ამოსდიოდა“,—გააჯავრა მენახშირემ მაგდანას: ვინ გეხვეწებოდა მოაბრუნეო? მინდორში მე იმისთვის კი არ მივანებე თავი, რომ შენ მოგეპარა, სხვა სახედრებს ჩამორჩა, მე მეჩქარებოდა და თავი იმიტომ დავანებე, მეორე დღეს ტყიდამ უნდა ჩამომეველო, წამეყვანა—და რა გაგიშვია, რას ეძებ! თურმე რომ შენ ჩაგიჩქმალავს, შე არამზადავ შენა! ეხლავე მომე, თორემ ეს არის შუაზედ გაგგლიჯე! მოხსენ ეგ შენი ქოთნები, თორემ ლუკმა-ლუკმა დაგიმტვრევ! „სუდში“ წაგათრევ და ქურდობისთვის ციხეში დაგალპობინებ!..

მაგდანამ ნახა, რომ ობლების საზრდო, იმედი ხელიდგან ეცლება, და საშინლად გააფთრდა, გოდრებს ზედ გადაეფაფრა, წიეილ-კივილს მოჰყვა და, რაც ჯანი და ლონე ჰქონდა, იგერებდა გაცოფებულს მენახშირეს:—ვერ წამართმევ, ვერ, ეს ჩემი ნაპოვნია, ჩემი გამოკვებილია ზამთარში, ჩემი შვილების ნუგეში ეს არის, ვერ წამართმევ! მომეცალე, მომეცალე, თორემ თვალებს გამოგიწიწკნი, თავს აქ მოვიკლავ და არ დაგანებებ კი.

—იქით, იქით! ხელი აიღე, თორემ ეს არის მოთმინება დავკარგე! შენისთანეებმა უნდა მაჯობონ, მასხარავ! იქით მეთქი, გეუბნები! ცოდვაში არ ჩამაგდო, წიწილასავით არ წაგახრჩო! ნაპარევი გიპოვე, შე არამზადავ შენა, და კიდეც მიძალიანდები? რატო სირცხვილით თვალი არა გსკდება და დედა-მიწაზედ არ დავარდები! იქით, იქით-მეთქი!

—არა, არა! ჩემის ცოცხალის თავით ვერ დაგანებებ. ჩემია, ჩემი, არ მამიპარავს! განა, ურჯულოვ, შენ თითონ არ იცი, რომ არ მომიპარავს? მთელმა ქვეყანამ იცის, „ტარშინა“ მამასახლისთან გამოცხადებული მაქვს. ღმერთმა აჩუქა ჩემს ობლებს და შენ უნდა წაართვა? არა, ვერ წაართმევ, ვერა!

მაგდანას თავშალი გადაუვარდა, თმები ჩამოეშალა და გაეწეწა, პირზედ მკვდრის ფერი დაედო, შუბლზედ ცივი ოფლი ჩამსდგომოდა, ამის მუდამ წყნარ ხმას მრისხანება მიეცა, მკლავს საშინელი ძალა, — და ყმაწვილ ლომ-მენახშირეს ლამის აჯობა.

ამასობაში პოლიცია გაჩნდა, ჩხუბის მიზეზი გამოიკითხა და მენახშირე ამ სიტყვებით გაისტუმრა: წართმევა არ იქნება, წადი, სუდში იჩივლე, იქ გაარჩევენ საქმეს და სახედარი ვისიც არის, იმას მისცემენ.

მაგდანამ სული მოიდგა, თავშალი მოიხვია, ტინისამოსი გაისწორა და თავ-ჩალუნული და შემკრთალი, რომ ამოდენა ხალხმა ამის გაანჩხლება დაინახა, იარმუკისკენ წავიდა.

VI

მშვენიერი წყნარი, მთვარიანი ღამეა. მაგდანა თავის ოთხის შვილით ვახშამს მოსჯდომია ეზოში, წინ პურ-ჩაყრილი მაწვნით სავსე ტაფა უდგათ, მაგრამ კი არავინა სჭამს. იმათ მოშორებით ბაკის ლობესთან გამობმული „ლურჯა“ კი მაღიანად ახრამუნებს მწვანე ბალახს. მაგდანა მწარედ ჩაფიქრებული შესცქერის მთვარეს და თვალები ცრემლებით ევსება,—ვინ იცის, რითი გადასწყდება ხვალ ამისი საქმე. წაართმევენ ამას ერთად-ერთს სახსარს, ცხოვრებისას, „ლურჯას“, თუ შეიბრალებენ ამის წვრილ-შვილს და არ გამოსწირავენ? ოჰ, ღმერთო, სად არის შენი სამართალი! მომეშველე მე, საცოდავს, ჩემს საბრალო ობლებს! განა „ლურჯა“ მართლა ჩემი არ არის? განა მართლა მე არ გადავარჩინე სიკვდილს, განა მთელი რვა თვე მე და ჩემი შვილები ამის მოვლაში და საზრდოს ზრუნვაში არ ვიყავით!... რო წაგვართვან, რაღა გვეშველება! ისევ უნდა წელში მოვიხარო და ოთხფეხ პირუტყვსავით ზურგით უნდა ვზიდო?! ოხ, ოხ, ღმერთო, ღმერთო! შენ იყავ ჩვენი მფარველი,— და მაგდანას გაღმოსცვივდა ბწარე მდუღარება.

—დედა, რად ტირი? — უთხრა დედას გულამოჯდარმა სოფომ: იქნება „სუდიებმა“ ჩვენ გვარგუნონ, წინადვე გულს რად იხეთქავ?

— დედა, მოდი მე ზედ შემსვი,— ტირილითვე უთხრა მიხამ, და მანამ არ მომკვლენ, ძირს არ ჩამოვალ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—შე საწყალო, შენა! მანამ არ მომკლავენო! შენ რა ხარ, შვილო, რომ შენი მოკვლა რა იყოს, პანტასავით იქით გადგიყრიან და ბევრსაც გირტყამენ.

—მაშ, მოდი, დედა, მთიულებში წავიყვანოთ და იქ დავმალოთ,— იმედს არ ჰკარგავდა პატარა მიხა.

—დედა, პური ჭამე, გეთაყვანე, ღმერთი მოწყალეა! გუშინ ნოზიძიანთ ნინიკა ამბობდა: მთელი სოფელი უმოწმებს, რომ მკვდარი მოაბრუნაო. მაგდანას დამალვით ხომ არ დაუმალავსო, საქვეყნოდ „ტარშინას“ გამოუცხადაო, რომ თუ ზამთარს გამოვ!ვებავ, მერე აღარავის დავანებებო. ან ვის გაუგონია დავარდნილ სახედრის უკან დევნაო. ეგ გზა სულ მენახშირეებით არის გათელილი, მაგის მეტი რა გვინახავსო, დავარდნილი, სახედარი ბევრი გვიპოვნია, ბევრი მოგვიბრუნებია, მაგრამ პატრონს ხმაც აღარ ამოუღიაო.

—ეგ მეც ვიცი, შვილო, მაგრამ ვინ იცის „სუდიები“ „კანცელარიაში“ რა ქვიეზზე იქნებიან, ვისას უფრო გაიგონებენ. მენახშირე ფულით არის გატენილი და მე ერთი უბედური გლახა ვარ, და გლახისას ვინ რას შეიწყნარებს.

—არა, დედილო, არა, ჩვენ „ლურჯას“ ვერავინ წაგვართმევს,— ქვითინით წამოხტა პატარა მიხა და მივარდა სახედარს: არა, „ლურჯავ“? ჩემო კარგო, ჩემო მშვენიერო „ლურჯავ“! შენ ნუ წაჰყვები იმ ოხერ მენახშირეს, ნუ წაჰყვები, შენი ჭირიმე!—და ამ სიტყვებთან ორთავე ხელებით შემოეხვია „ლურჯას“ კისერზე.

VII

მეორე დღეს მაგდანამ თავზე ხელი გადაუსვა თავის „ლურჯას“, დიდს ხანს ჩაეკქერდა ტკბილს, დალონებულს თვალებში და თავი გაიქნია: განა ასეთი იყავ ამ რვა თვის წინად, განა ასე გიბზინავდა აქა-იქ ამოგლეჯილი შენი ლურჯი ბალანი, ჩემო „ლურჯავ“? განა მენახშირე ისევ ისე არ გადაგაძრობს ჩემ მორჩენილ ბეჭებს? ნეტა ლაპარაკი მაინც იცოდე, რომ შენ გკითხავდენ, თუ ვის აირჩევდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატრონად. „ლურჯაც“ თითქო გრძნობდა თავის განსაცდელს, და რაც შეეძლო ზედ ეკვროდა თავის პატრონს.

მაგდანამ კარგად გაწმინდა თავის ბედაური, კურტანიც კი აღარ დაადგა, რომ ყველას ენახა, რა რიგად იყო მოვლილი ამისი „ლურჯა“, კისერზედ თოკი გამოაბა და, რომ შვილების ტირილი და ვაგლახი აღარ ენახა, გაუთენებლივ გაუდგა გზას. ჯერ სოფლის „კანცელარიაში“ ჩამიჩუმიც არ იყო, რომ მაგდანა თავის სახედრით იქ გამოცხადდა.

სოფო, მიხა და ორი პატარა და მთელი დღე ბანზედ ისხდენ. არც ერთს იმათგანს მთელი დღე ხმა არ ამოუღია, თითქმის არა უჭამია-რა და მხოლოდ გზას გასცქეროდენ. მზემ კარგა გადაიწია და მაგდანა კი არსად სჩანდა.

ბავშვები სასოწარკვეთილებას მიეცნენ. სოფოს რაც ძალი და ღონე შეჰრჩა კიდევ, ნუგეშს სცემდა პატარეებს, თუმცა თითონ მთლად კანკალებდა მოუთმენლობით.

მზე ჩავიდა და აგერ გზის პირად გამოჩნდა მაგდანას შავი თავშალი. კიდევ ერთი წამი და მაგდანა, წელში გაშლილი, პირმომღიმარი „ლურჯას“, თოკით ხელში, წინ მოუძღვოდა და, თავის მოწმებით გარშემოხვეული, მოუახლოვდა სოფელს. მაგდანას შვილები სახედრის დანახვაზედ მთლად გადაირივნენ: ტიროდენ, იცინოდენ, ხტოდენ, გარბოდენ, უკან ბრუნდებოდენ და ისევ გამორბოდენ. ბოლოს ოთხივე წივილ-კივილით ვირს მოეხვივნენ, ჰკოცნიდენ, ზედ ახტებოდენ და უალერსებდენ.

—კარგით, შვილო, კარგით! ხომ ხედავთ „ლურჯა“ ჩვენ გვარგუნეს. სოფო, შვილო, გაიქე სახლში, ცეცხლი გააჩინე, ამ პატიოსან მოწმებს უნდა გავუმასპინძლდე.

მაგდანა თავის მოწმებს გულუხვად დაუხვდა. ღვინო და არაყი ბლომად მიართვა, კარგი ჩასუქებული დედალიც დაუკლა და შუალამემდის იმის ერდოდამ, წუხანდელ ტირილის მაგივრად, ჰარიარალოს ხმა ამოდიოდა.

ეკ. გაბაშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვასიკოს თავ-გადასავალი

ასიკო იყო მარდი, ტან-წვრილი,
მაგრამ კი ცელქი, ურჩი ემაწვილი:
გათენდებოდა —
ტყეს ეცემოდა
და ან მინდორში ვირს ახტებოდა,
და უკვალ-უგზოდ ეხეტებოდა.

—

ერთ დილით ეცა ვასიკო ტყესა
და იქ მიადგა ერთს მაღალ ხესა,
ფუტუროს დაბლა,
უფოთლოს მაღლა,
თავით ბოლომდინ თითქმის მთლად ხმელსა, —
შეახტა ხესა
და მის შტოს ხმელსა
ჩამოეკიდა ორივე ხელით;
ჩატყდა შტო ხმელი,
და როგორც ძელი
ვასო დაეცა მიწაზედ გვერდით.
მთლად დამტვრეული
და დაძსხვრეული
ძლივ მიეთრია ღრიალით შინა
და ისე წადგა დედ-მამის წინა.
ორი თვე იყო ვასიკო ავად

ეროვნული ბიბლიოთეკა

და როცა მორჩა, დასტუქსეს კარგად:
«ცეებზედ ასვლა გასწავლა ვინა!»

მაინც ვასიკომ არ დაიშალა,—
ერთს ზამთრის დილით
ჩუმად და მალვით
ტეისაკენ კიდევ გაიცქრიალა;
მივა ტეის ჰირსა,
ხედავს ერთს ვირსა,
ფოთოლს სჭამს მადით და ტკბილად ვირი,
რადგანც ბალახი ზამთრით არს მეირი.
შეასტა ზედა,
მარდად ზურგზედა: —
მან ვასოს უგდო ვირული ხრინკი
და თვისებურად,
და მგელებურად,
როგორც ვირს ჭშვენის, შეჭვარა ტლინკი,
და დასცა მირსა,
იმავ ხის მირსა,
და ერთი წიხლიც თან დაატანა.
კვლავ დამტვრეული
და დამსხვრეული
ძლივ მიეთრია ღრიალით შინა.
დიდხანს იყო კვლავ ვასიკო ავად,
და, როცა მორჩა, მიტეიჰეს კარგად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა კი მორჩა,
სიკვდილს გადარჩა,
მაგრამ ველარ რბის მინდვრად ტეის წინა;
ფეხ ჩახეჩილი,
მთლად დაჩეხილი
ზის მოწყენილი დღე და ღამ შინა;
და ვირის ნალიც ცხვირზედ ატევია,
როგორც რომ კედელს ზარბაზნის ტყვია.

ვ. ო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშინელი ღამე

(ფრანგულიდან)

ადო რომ თავის ნათქვამი და ჯიუტი ყმაწვილი იყო, ეს ყველამ კარგად იცოდა. ბევრჯელ თადოსთვის ამის ახირებულ ხასიათს უსიამოვნობა მიუყენებია, მაგრამ ეს თავისას არ იშლიდა. რაკი ერთხელ დაიქინებდა რასმე, ველარავინ გადაათქმევინებდა. არც მოხუცებული მამის დარიგება დაუჯდებოდა თავში და არც დედის ხვეწნა, რომ უფროსის სიტყვას პატივი უნდა სცეო.

თადო ხშირად პირობას აძლევდა დედ-მამას, აღარ ავხირდებიო, მაგრამ რაკი ქინი მოუვლიდა, ყველაფერი დაავიწყდებოდა ხოლმე.

ერთს საღამოს თადოს დედ-მამამ მოინდომა ბიძია ეფრემასთან წასვლა. თადომ სიხარულით აღარ იცოდა რა ექნა. ყმაწვილს ძალიან უყვარდა თავისი ბიძა, რომელიც ამას ანებივრებდა. ამასთანავე ბიძიამ იცოდა მშვენიერი ზღაპრები; რას არ უამბობდა ის დალოცვილი ბიძია,—ხან გააცინებდა თადოს, ხან ააცახცახებდა და ხან აატირებდა.

თადო სიხარულით მოემზადა ბიძიასთან წასასვლელად.

თადო და თავის დედ-მამა ერთად გაუდგნენ გზას. ბიძია ეფრემს ქალაქ გარეთ, სოფლის თავში ჰქონდა თავისთვის კარგად გამართული სახლკარი. ენკენისთვის დამდეგი იყო. დიდი სიცხის შემდეგ საღამო გრილი დადგა. მთვარე კაშკაშებდა. წყნარი, სასიამოვნო ნიავი მოჰქროდა.

რვა საათი იქნებოდა, როდესაც ჩვენი მგზავრები გასცილდენ თავიანთ პატარა ქალაქს და შეუხვიეს იმ გზას, რომელსაც ბიძია ეფრემის მამულში მიჰყვანდა.

თადო წინ მიხტოდა და აჩქარებდა დედ-მამასაც. ისინიც, რაკი ხედავდენ შვილის სულ-სწრაფობას, ფეხ-აჩქარებით მისდევდენ. გზაზედ ამათ უნდა გადაევლოთ პატარა მდინარე. თადო ატყდა, რომ აქ სხვა უფრო მოკლე გზა არისო. მამამ ვერა ლონით ვერ დააჯერა თადო, რომ იმ ბილიკზედ, შესაძლებელი იყო, გზა არეოდათ. თადო თავისას არ იშლიდა, ახირდა და სულ იმას იძახოდა, რომ ის ბილიკი ერთი-ათად შეგვიმოკლებს გზასაო.

—ვინ გიშლის, შე შენ-ნათქვამავ, გასწი მაგ გზაზედ, ჩვენ არა გვეშურება რა, და, საითაც კვლავ გვივლია, იმ გზაზედვე წავალთ.

და მარალაც თადოს დედ-მამა ისევ ჩვეულ გზას მიჰყვა.

თადო არხეინად დაადგა ამორჩეულ ბილიკს იმ იმედით, რომ დედ-მამა აუსრულებდა სურვილს, და ხშირად უკან-უკან იცქირებოდა, ხომ არ გადმოვიდნენ ბილიკზეო. როდესაც თადო დარწმუნდა, რომ სრულებით მარტოა, და დედ-მამა კარგა შორს გასცილდა, ჩვენი პატარა თავის-ნათქვამი არ იყოს შეკრთა, შიშმა აიტანა.

გარშემო მთვარის შუქით მკრთალად განათებული ვეებერთელა ხეები უცნაურად გამოიყურებოდა. თადოს ჟრუანტელმა გაურბინა ტანში, შიშით კანკალმა აიტანა.

მაინც და მაინც თადო ცოტა ხანს თავს იმაგრებდა, თავმოყვარება სძლევდა შიშს, თან მიდიოდა თადო და თან აქეთ-იქით კრძალვით იცქირებოდა; თითქის გული კიდეც გაიმაგრა და მამაცურად გაუდგა გზას. ამ დროს ყმაწვილს მოესმა რაღაც გრიალი:

—რაკ, რუკ! რაკ, რუკ!

თითქოს გზაზედ ვიღაც აბიჯებდა მძიმედ, ტლანქად. პატარა ხანს შემდეგ ხმა შეწყდა. თადო ცოტად დამშვიდდა და განაგრძო გზა.

თადოს ეგონა სახლთან მიახლოებული ვარო, კიდეც ათვალიერებდა, სახლის კრამიტი ხომ არ მოჩანსო, მაგრამ უეცრად მოიხედა და მარჯვნივ დაინახა რაღაც საოცარი სანახავი, რომლის ვეებერთელა შავი ჩრდილი თითქოს ჰფარავდა მთელს ცასა.

ყმაწვილს წარმოუდგა თვალ წინ ნამდვილი დევი, რომლის უშველებელი თავი განათებული იყო ნაკვერჩხალსავით აპრიალებულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალებით. იმის ვეება ფრთები ცამდის ამართულიყენენ. დიდრონ ფეხებს მიაბიჯებდა და ორივ ხელი გაეპარჭყა ჩვენი პატარა კაცის შესაპყრობლად.

თადომ შიშით ველარ შეხედა ამ დევს, ქუდზე ხელი წაივლო და გაჭკურცხლა.



მაგრამ დახე უბედურებას! დევი ყმაწვილს გამოუდგა, იმისი ჩრდილი თადოს მისდევდა, დევის აჩქარებული ფეხის ხმა შეუწყვეტლად ესმოდა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

—რაკ, რუკ!... რაკ, რუკ!

თადოს მაშინ გაახსენდა თავის დედ-მამა, და ფეხი უფრო ჩქარა, ეგონა, რომ ეს-ეს არის დეკი დამეწევაო!

თადოს დაყვირება უნდოდა, საშველად დაძახება, მაგრამ შიშისაგან ენა ჩაუვარდა, პირიდამ ხმა არ ამოსდიოდა. საუბედუროდ ერთი სახლიც არ მოჩანდა ახლო-მახლოს, რომ თავი შეეფარებინა.

თადო გრძნობდა, რომ ღონე ეკარგება, მუხლები ეკეცება, სულს ველარ იბრუნებს, რომ მალე ველარ შესძლებს სირბილსა და, თუ ერთი შესდგა, იმ საოცარ დევს ველარ გადურჩება.... ის საძაგელიც რომ არ იშლის და ფეხ-და-ფეხ მოსდევს!

—რა კარგი იქნებოდა,—უნებლიედ გაიფიქრა თადომ: ეხლა რომ გეერდით დედ-მამა მყვანდეს! დავუძახებდი მაინც, ხმა რომ არ წამსვლოდა.

ამ დროს უცებ, ბილიკის შესახვევზედ, თადომ დაინახა რაღაც შენობა, გაექანა იქით, შეაღო კარი და შევარდა შიგ.

იქ საშინლად ბნელოდა. თადოს ეგონა, რომ ეს არის თავს ვუშველეო. მაგრამ აი სიბნელეში ატყდა რაღაც საშინელი ხრუტუნი.

თადო გაშრა, შიშით თავს ზარი დეცა.

ყმაწვილი ცხადადა გრძნობს, რომ გარშემო ვილაცები ფათურობენ, სუნთქავენ. ამ სუნთქვისაგან ყმაწვილს ხელები უსველდება და თან შიშისაგან შუბლზედ ოფლის წუნწკლები ჩამოსდის. საშინელი ხმაურობა თან-და-თან მატულობს,—და ერთი საზარელი ჭრიამული დგას.

ეს პატარა ცელქი რომ ასეთი მშიშარა არა ყოფილიყო, ადვილად მიხვდებოდა, რომ საღორეში შევარდა და ის ხრუტუნი, რომელმაც ასე ძლიერ შეაშინა, ღორებმა ასტეხეს,—თითქოს ჯავრობდნენ, ეს ვილაცა ასე უდროოდ რად შემოვარდა და ძილი რაზე დაგვფთხოვო.

თადომ ვერა მოისაზრა რა, ეგონა, რომ ეშმაკი ამედევნა და ნამდვილ ჯოჯოხეთში მიკრა თავიო. რაც ძალი-ღა კიდევ ჰქონდა, შეიკრიფა და დააპირა გამოქცევა.

მაგრამ ამ დროს იგრძნო, რომ რაღამაც ასწია ჰაერში და გაა-ქანა სინათლისკენ, გარეთ. აქ დაინახა, რომ რაღაც საშინელს ცხოველს ზურგზედ მოჰქცევია.



ყმაწვილს ხშირად გაეგონა სხვა და სხვა უცნაური არაკები, თუ რა მანქანებით დაფრინავდენ დევები და ჯადოქრები, და ეგონა, რომ ეს არის ჩემი სიკვდილის ჟამი მოახლოვდაო.

თადო ძალა-უნებურად იმაგრებდა თავს უცნაურ მატარებელ-ზედ, რომელიც საზარელის ხმით ჭყიოდა.

საით მიაქანებდა ეს უზარმაზარი ცხოველი თადოს, ძნელი გა-მოსაცნობი იყო, ხან მარჯვნივ მიახეთქებდა დიდრონ ხეებს და ხან მარცხნივ. ფოთლების შრიალი, ხის ტოტების ტკაცა-ტკუცი და სა-ზარელი ჭყივილი ერთად ირეოდა და საშინელებას წარმოადგენდა. ბოლოს ამ უცნაურმა ცხოველმა გააქანა ყმაწვილი ერთ დიდს, ფარ-თო ადგილს, რომელსაც მთვარე მკრთალად ანათებდა.

უთუოდ ეს მოედანია,—ფიქრობდა ყმაწვილი,—საცა ალები და ჯადოქრები იყრიან თავს, და გველაშაპმა მეც სწორედ აქ მამი-ყვანაო. ის ხელებ გაპარჭყული დევი აქაც არა შორდებოდა, შორი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამ მოჩანდა, იმისი ხმაც უერთდებოდა ამ ხმაურობას და თავბრუს ახვევდა ყმაწვილს.

უცებ ღონივრად შეებერტყა მატარებელი და მხედარი გადისროლა ერთს დიდს გუბეში, საიდამაც საშინელის ხმაურობით და ფრთების ფთხრიალით ამოფრინდა მთელი გროვა დამფთხალი ბატისა და იხვისა, რომელნიც შებუდებულიყვნენ ამ ადგილას.

ცივმა წყალმა ჩვენი პატარა მშიშარა გონზე მოიყვანა. მაშინვე მოჰყვა ყვირილს და ძახილს. ცდილობდა გუბიდამ ამოსვლას და ძალიან უხაროდა, რომ ეშმაკი თავიდამ მოიშორა.

ამ ხმაურობასა და ყვირილზედ იქვე ახლოს სახლიდამ მოირბინა ხალხმა. გუბიდამ ამოყვანილი თადო გაოცებული დარჩა, თვალ წინ რომ დედ-შამა და ბიძია ეკრეში დაინახა.

თადოს ასე ეგონა, რომ მთელი ქვეყანა შემოვიარე და დიდი ხანიც მოვუნდი ამ გიჟურ და უცნაურ მოგზაურობასაო, და ის კი არა თუ, სულ თავის ბიძიას სახლის გარშემო ეტრიალნა და ისიც ორიოდ წამს, თავისავით შიშისაგან დამფთხალს ღორზედ შემჯდარს.

როდესაც ცოტა სული მოიბრუნა, ყმაწვილმა უამბო, როგორ გამოუდგა უშველებელი დევი, ვეება რქებით.

ბიძიას სიცილად არ ეყო ეს ამბავი.

—მოდი, გაჩვენო ის დევი,—უთხრა ბიძიამ და მიიყვანა თადო ფანჯარასთან.

ღია ფანჯრიდამ მოჩანდა შორს ქარის წისქვილი, რომლის ხმაურობა ღამის ნიავს კაფიათად მოჰქონდა ამ სახლამდის.

თადო გაოცდა, თვალს არ უჯერებდა, მერე მორცხვობით წამაიძახა:

—როგორ შემაშინა მაგანო!

ერთი კიდევ საშინლად გააკრკოლა თადო ღამის თავ-გარდასავლის მოგონებამ და მხურვალედ გადაეხვია დედ-მამას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალსური ლექსი

(მთავრიშვილის გაგონილი, კახეთში).

ებარსა მინდორზედა
გლახა იყო—სახლდებოდა,
გლახას ერთი შვილი ჰყვანდა,—
უნათლავი ეზრდებოდა.
ქრისტე-ღმერთი წამობრძანდა,
გლახას კარზედ ჩამოხდება:
„გლახავ, შვილსა მოგინათლავ,
თუ მიროანი გეწამება“.

სიტიტვლითა ნათლი-დედა
კარს უკან დაიმალება,
სიშიშვლითა ნათლი-მამა
დედა-ბოძს აეფარება.
—ნათლი-დედავ, ბარგზე მიდი,
სავსე ბარგი დაგიხვდება,
ნათლი-მამასა მოუტა,
ათას-თავად აჰყვავდება!
—„ტანისამოსი ვინ მოგვცა:
შვიდი წელიწადი არის,
ძონძის-ძველი გვენატრება!“
—ნათლი-დედავ, ნათლი-მამავ,
კაი პური გვეფერება“.
—„ჩვენ კაი პური ვინ მოგვცა:
შვიდი წელიწადი არის,—
მჭადის კუტი გვენატრება.“
—ნათლი-დედავ, ვარცლზე მიდი,
სავსე ვარცლი დაგიხვდება,
ნათლი-მამასა მოუტა,
ერთი კარგა გამოძღება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ნათლი-დედავ, ნათლი-მამავ,
კარგი ღვინო გვეფერება.
—„ჩვენ კარგი ღვინო ვინ მოგვცა—
შვიდი წელიწადი არის
ზიარება გვენატრება!“

—ნათლი-დედავ, ქვევრზე მიდი—
სავსე ქვევრი დაგიხვდება,
ნათლი-მამასა მოუტა,
ერთი კარგა დაითვრება.....

ნათლი-დედას, ნათლი-მამას
გარს მოახლე შემოჰხვია,
ცხვარი და ძროხა უჩინა,
თან მწყემსებიც გაუჩინა....

—„შვიდ წელიწადს უკან მოვალ,
თუ მირონი გეწამება!“...
თითონაც რომ არ იკადრა,
მოახლემა გამოჰხედა:

—ქალბატონო, რა გახარო,
ჩვენ ნათლია მობრძანდება!
—„თვალი მასაც დაუდგება,
რა მალ-მალ დაიარება!
იმ მოტანილ დარაიას
აზღუტები დამიკლდება!?
გუშინდელი დო დაუსხი,
კუტ-მატები სად ეყრება,
თუ უნდოდეს, ისა ჭამოს,
თუ არა—გზა გაევლება!“

—ქალბატონო, რასა ბრძანებ?
მირონს ეგ არ ეკადრება:
ძველი დედალი დაუკალ,
და სინით წინ მიერთმევა....

ნათლი-დედას ცხვარი-ძროხა,
ხევ-ქვიშად გადაიქცევა,
ნათლი-დედას ნაწნავები
ენდროს ფოჩად გადიქცევა,
ნათლი-მამას წვერ-ულვაში
მინდორს ბალახად იქცევა,
ცხვარმა და ძროხამ მოძოვოს
ულეველი შეიქნება!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ ი ქ ა რ ა

(ზღაპარი, თ. რაზიკაშვილის გაგონილი)



ყო და არა იყო-რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ცოლ-ქმარი; ჰყავდათ ერთი ვაჟი. კაცი მალე დაქვრივდა; ვაჟიც დაობლდა, დარჩა პატარა. სახლისა და შვილის მოსავლელად ვაჟის მამამ მეორე ცოლი შეირთო. ვაჟი დედინაცვლის ხელში ჩავარდა. უდიერი დედინაცვალი ჰყავდა. მუდამ სცემდა პატარა ვაჟს და აყენებდა ცეცხლის კალოში. დედინაცვალს მეგობარი ჰყავდა, ქმარმა კი არ იცოდა; ვაჟმა იცოდა და დედინაცვალსაც გულით იმიტომ უნდოდა ვაჟის მოშორება. კაცს ერთი ხარი ჰყავდა — წიქარა. ვაჟსა და წიქარას ერთმანეთი საშინლად უყვარდათ. მუდამ დადიოდა ვაჟი წიქარასთან, აძოებდა იმასაც და თვითონაც ერთობოდა. დედინაცვალი კი დროს ელოდა, რომ ვაჟი თავიდამ როგორმე მოეშორებინა. ერთხელ მოიავადა თავი და დაიწყო ტყუილად კენესა და გმინვა. ქმარმა ჰკითხა:

—„რა გიშველისო?“

ცოლმა უთხრა: „შენის შვილის გულლვიძლის მეტი ვერაფერი მიშველისო!“ მამა ცოტა შეწუხდა ამ სიტყვის გაგონებაზე, მაგრამ რო მეტი ღონეც არა ჰქონდა! ირჩია ცოლი შვილსა და დაკვლა დაუპირა. მეორე დილაზედ ვაჟი ჰხედავს, რომ მამა დანებსა ჰლესავს.

—„რად გინდა, მამავ, ეგ დანა, რო ჰლესავო, — ჰკითხა ვაჟმა.

—„წაიყვანე, შვილო, — ეტყვის მამა ვაჟს, — წიქარას წყალი დაალევინე, უნდა დავკლათ!“

წაიყვანა ვაჟმა წიქარა წყალზედ, ასმევს წყალს და ტირის, ტირის რო იმის ცრემლები წყალთ ეწევიან.

„რა გატირებს, ჩემო მეგობარო!“ — ჰკითხავს წიქარა: „რაზედ ითხრი თვალებს, შემოგეველოს შენი წიქარა თავს!“

—დაკვლას გიპირებენ, დაკვლას! ეტყვის ვაჟი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაღონებული წიქარა ამოიდგამს ენას და ეტყვის ვაჟს: „მე კი არა მკვლენ, შენ გიპირებენ ყელის გამოჭრასაო. წადი, წამოიღე ერთი სალესავი, ერთი სავარცხელი და ერთი ბოთლი წყალი, შემჯექ და წავიდეთო“.

წავა ვაჟი, მოიტანს ყველაფერს, რაც წიქარამ უთხრა, და მოვა.

შეჯდება ვაჟი წიქარაზედ და გაჰქუსლავს. გაიგო ვაჟის მამამ შვილის წასვლა, შეჯდა ერთს წყეულს ღორზედ და გამოუდგა. მირბის წიქარა, მიარბენს პატარა მეგობარს, მისდევს მამაც ღორზე მჯდომი დალესილი დანებით; მისდევს და ის არის უნდა დაეწიოს.

წიქარამ უთხრა ვაჟს:

—„რაღას ელი, მეგობარო, სიკვდილი თვალწინ გვიდგა, გადალვარე წყლიანი მინაო“. გადააქცევს წყალს ვაჟი—გაჩნდება საშინელი ზღვა. ჰელავს შავად ზღვა, გაბრაზებულია, ტალღები სიკვდილს უქადიან ყველას, მაგრამ ღორი არ უდრკება ზვირთების ცემას და მისცურავს. სანამ ღორი ზღვას გადაცურდება, წიქარა და იმისი მეგობარი კარგა გზას გაივლიან..

ბოლოს გამოვა ღორიც.

წიქარა ეტყვის ვაჟს: „თავი მიიბრუნე, აბა, მოდის თუ არაო?

მიიბრუნებს ვაჟი თავს;—შორს ბუზიკით რაღაც მორბის და მოფრინავს.

წიქარას ეტყვის:—ბუზის ტოლად კი სჩანს რაღაცა...

—„ეგ ღორია და ზედ მამაშენი ზისო, - ეტყვის წიქარა და გაეშურება: წავიდეთ, მეგობარო, გავექცნეთ უსამართლობას, როდესაც იმის წინააღმდეგი ფარი არა გვაქვს!“

მირბის წიქარა, მიაქროლებს პატარა ვაჟს; მორბის ღორი და მოაგელებს ვაჟის მამა დააფთრებულს დანებს.. ცოტა კიდევ და ღორი დაეწევა წიქარას!!

„გადაგდე სავარცხელიო!“—შეჰძახა ვაჟს წიქარამ.

გადაგდო ვაჟმა სავარცხელი,—უცებ ისეთი წვრილი და ხშირი ტყე აიყარა, რომ შიგ თაგვი კუდს ვერ მოიბრუნებდა.

სჭრა კბილით ღორმა, სჭრა და გავიდა. წიქარა და ვაჟი კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მირბიან. კარგა გზა აქვთ გავლილი. მოიხედავს ვაჟი, – შორს ბუზებივით რაღაც მოჩანს.

—„ღორი მოგვდევსო!“—ეტყვის წიქარა...

ცოტა კიდევ, ცოტა კიდევ და ღორი წიქარას დაეწევა, მაგრამ გადააგდებს ვაჟი სალესავს და აიმართება საშინელი თვალაუწვდენელი კლდე წიქარასა და ღორს შუა. სჭრის ღორი, სჭრის რაც ძალი და ღონე აქვს, აკეთებს კლდეში საკიბურებს და ადის ზევით. შუა ადგილში რო მივიდა ღორი, ჩააჭრა კლდის ფხას ფეხი და თავის მხედრით უფსკრულში კი ჩაინთქა... წაიღო ჩემიცა და თქვენი ჭირიც. ვაჟსა და წიქარას ხსნის იმედი მოეცათ.. იარეს და გავიდნენ სამშვიდობოს.

წიქარამ გაიყვანა ვაჟი ერთს ტრიალს მინდორზედ, იქ ერთი ალვის ხე იდგა, რო იმის წვერი ცასა ჰხევდა. შესვა ზედ, მისცა ორი სალამური, ერთი საჭირო, ერთი სალხინო და უთხრა: „მე წავალ, მარტოკა ვივლი მინდვრებზედ, ვძოვ, დავირჩენ თავს, შენ აქ იჯექ; გაგიჭირდეს—დაუკარ საჭირო სალამური და მე მაშინვე აქ დავიბადები; გილხინდეს—უკარ სალხინო სალამური, საჭმელსაც ის მოგიტანს და სასმელსაც.“ გამოეთხოვა და წავიდა წიქარა. ვაჟი იჯდა ალვის ხეზედ და უკრავდა სალხინო სალამურს...

გაიგონა ერთმა მეცხვარემ სალამურის ხმა, საშინლად მოეწონა და გადაჰწყვიტა იმისი შოვნა. მიჰყვა სალამურის ხმას, მივიდა ალვის ხესთან და ნახა, რომ ბიჭი სალხინო სალამურს უკრავს, პეპელები კი მოგროვილან იმასთან და სალამურის ხმაზედ თამაშობენ და ირევიან ერთმანეთში. მეცხვარეს შურით თვალები გადმოუბრუნდა; ვაჟს დაუძახა: „ჩამოდი ძირს, სალამური მაჩვენე, რისაა გაკეთებულიო.“ მაგრამ ვაჟი არ ჩავიდა: წიქარასაგან ჰქონდა ნათქვამი, რომ ალვის ხიდან არ ჩამოხვიდეო. ვაჟმა არ გაუგონა მეცხვარეს და არ ჩავიდა.. ადგება შურიანი მეცხვარე და წავა ხელმწიფესთან. ხელმწიფეს მოახსენა: ამა-და-ამ ადგილას ერთი ვაჟი ზის ალვის ხეზედ და ისე უკრავს სალამურს, რომ იმის დაკვრით მთელი ქვეყანა ხაროობს. ხელმწიფემ მაშინვე დაიბარა თავის ნაზირ-ეზირი და უთხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა, რომ ან თქვენ უნდა მოიყვანოთ ის ვაჟი და ან უნდა კაცი იშოვოთ იმის მომყვანიო. ნაზირ-ვეზირმა ხელმწიფესთან ერთად ბებერი მიიყვანეს. ბებერმა უთხრა, მე მოვიყვან ივ ვაჟსაო.

ადგება ბებერი, წაიყვანს ერთს თხას, ერთს სადგისს წაიღებს და მივა ალვის ხის ძირში. ვაჟი ზის ალვის ხეზედ და უკრავს სალხინო სალამურს; ბებერი ალვის ხის ძირში დგა. ჰჩხვლეტავს სადგისით თხას და აჩხავლებს. ვაჟი დაინახავს, რომ ბებერი თხას აჩხავლებს და დაუძახებს: „რასა ჰშვრები, დედილო, რად აჩხაველებ მაგ თხასაო.“

—დაკვლა მინდა და ვერ დამიკვლია, იმდენი სიკეთე მიყავ, ჩამოდი, დამიკალო. ვაჟი რას მოიფიქრებდა, თუ ბებერს ღალატი ედვა გულში.

ჩავიდა ვაჟი ძირს. ბებერმა დაათრო და დააძინა. წაიყვანეს ხელმწიფის კაცებმა და ჩასვეს ცხრაკლიტულში. ვაჟს გამოელვიძა, ნახა თავის თავი დატყვევებული და დაღონდა; დაიწყო ტირილი, ინატრა თავის სალამურები, მაგრამ იმის სალამურები ალვის ხეზე იყვნენ ოხრად დარჩენილები. ვაჟი ფანჯარასთან იჯდა და გაჰქეროდა ცასა.

ცხრაკლიტულს ყვავმა გაუარა გვერდზედ.

დაინახა ვაჟმა და შესძახა: „ყვავო, ყვავო! სად მიჰფრინავ, სად მიგეჩქარება? წადი შენის შვილების მზეს, მინდოართ რო ალვის ხე დგა, იქ ჩეში სალამურებია და აქ მოგიტანე!“

—მე რო ლეშსა ვჭამდი და შენ კი ქვეს მესროდი, აღარ გახსოვს? უპასუხა ყვავმა და გაუდგა გზას. გააყოლა თვალი ვაჟმა და ჩამოყარა ცრემლები.

გაუარა ყორანმა.

„ყორანო! ყორანო! წადი, შენის შვილების მზეს, ალვის ხეზე სალამურები დამრჩა და აქ მოგიტანე!“—გასძახა ვაჟმა ახლა ყორანს.

—„მე რო წიქარას ლეში გთხოვე და არ მომეცი, სალამურს რად მოგიტანო!“ ჩამოსძახა ყორანმა. გასცილდა და თავის სიშავეთ უფრო გააშავა ისეც შავი და მწარე დღე პატარა ტყვისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გადუარა არწივმა.

„არწივო! არწივო, მხარ კვერიანო!“—გასძახა ვაქმა, „ფრინველთ მეფე ხარ; სადაც მაღალი კლდე არის და ხე, შენი საბუდარია, მაშ წადი და მინდორთ რო ალვის ხე დგა, იქ სალამურები დამრჩა და მომიტანე!“

—„მე ჩემი საქმე მაქვს; შენგან კრავი როდის მიმიღია საჩუქრად, რო მე სალამური მოგიტანო!“—უპასუხა არწივმა და მხრების შხლარტუნით გასცდა.

გადმაიფრინა ჩიტმა.

ამასაც შესძახა ვაქმა:

„ჩიტო, ჩიტო, შენის ბარტყების გაზრდას, მინდორთ სალამურები დამრჩა და მომიტანე!“

—„შენ რო მახეს გვიგებდი და ბუდეს გვიშლიდი! მე ვერ მოგიტან, სხვას სთხოვე,“—უთხრა ჩიტმა და გასცდა ჟივილ-ხივილით. გააყოლა იმასაც თვალები ვაქმა და ჩამოსცვივდა ცრემლები. ბოლოს მერცხალი დაინახა.

ვაქმა შესტირა:

„საით მიჰფრინავ, მერცხალო,
საისკე მიეშურები?
მინდორთ რო ალვის ხე ხაროობს,
ცივნი წყარონიც დიანო;
პეპელეები სხდებიან,
ტურფად ჭრელს მხრებსა ჰშლიანო;
შაიყრებიან ჩიტებიც,
ყვავილნიც შეკრბებიანო,
წიქარაც იმათთან მოდის,—
იქ დაინახავ, ღვთიანო!
სალამურებიც იქ არის,
უჩემოდ დალპებიანო...
გაფრინდი, აქ მომიტანე,
ჩემო ლამაზო-მხრიანო!.. *)

*) ეს ლექსი ხალხური არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაფრინდა მერცხალი და მოუტანა სალამურები.

დაუკრა საჭირო სალამური ვაქმა, დაუკრა და აატირა. წიქარამ გაიგონა სალამურის ხმა და მაშინვე გაეშურა ვაქისაკენ. გააფთრებული ეცა რქებით ცხრაკლიტულს და დაუწყო მტვრევა. რვა კარი გატეხა, მაგრამ მეცხრე კარი გასატეხი ჰქონდა და მოსტყდა ერთი რქა. დაღონდა წიქარა. ისე თავის რქას არა სჩიოდა, როგორც თავის მეგობრის ტყვეობას. ღმერთს რქა შესთხოვა. ერთი თაგვი გამოძვრა და წიქარას უთხრა: „რას მომცემ, რომ რქა მოგაბაო? შენს ლეშს ხომ მაჭმევო?“—გაჭმევო, უთხრა წიქარამ.

თაგვმა გაუთელა რქა. ეცა წიქარა და შელეწა მეცხრე კარიც. შევიდა ვაქთან, შეესვა ზურგზედ მეგობარი და გააშურა ალვის ხისაკენ. შესვა წიქარამ ვაქი ალვის ხეზედ და თვითონ კი ისევ მინდორში წავიდა.

არის ვაქი ალვის ხეზედ, უკრავს სალხინო სალამურს და ერთობა, ბოლოს მოაგონდება წიქარა, მოუნდება იმისი ნახვა, დაუკრავს საჭირო სალამურს, დაუკრავს, მაგრამ არსად არის წიქარა! ელის ვაქი წიქარას, მაგრამ არსადა ჩანს წიქარა!

დაღონდა ვაქი. ჩამოვიდა ძირს. დაუკრა საჭირო სალამური, დაუკრა და აატირა მთელი ქვეყანა. იმის ცოდვით ბალახნი ტიროდენ; პეპელებიც აღარა ფრინავდენ და ცრემლსა ჰღვრიდენ. ხეებიც აღარ ინძრეოდენ. უკრავდა სალამურს და ცივს კლდეებსაც ცხელი ცრემლები სდიოდათ.. უკრავდა სალამურს და შავი ყორანი კი ნალეშარით საითღაც მიეშურებოდა...

წავიდა ვაქი, ეძება წიქარა და ბოლოს მინდორში მკვდარი იპოვა. შავს ყორანსა და უგვანო სვავ-ყაჯირებს თვალები დაეთხარათ, ყვავ-კაჭკაჭებს გამოეხრათ.

დასტირა ვაქმა წიქარას, დასტირა ცხარედ; აღარც სალხინო და აღარც საჭირო სალამური არ დაუკრავ; შეძვრა წიქარას გვამში და მოკვდა იმასთან.

ჭირი იქა, ლხინი აქა,
ქატო იქა, ფქვილი აქა.
ელასა, მელასა
ჭიქა მეკიდა ყელასა,
მთქმელსაც და გამგონელსაცა,
ღმერთი გვწყალობდეს ყველასა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საათი და მისი ამბავი

Mქვენგან, ემაწვილებო, ყველას უსათუოდ უნახავს საათი და უსათუოდ ისიც გეცოდინებათ, თუ რა სასარგებლოა ეს ჰატარა ნივთი ცხოვრებაში.—მაგრამ უმეტესს თქვენგანს არ ეცოდინება, ჰირველად ვინ მოიგონა ამისთანა კარგი და გამოსადეგი ნივთი, როგორ მოიგონა და როდის მოიგონა? აბა კარგად დამიგდეთ ყური და მე გეტყვით ამის ამბავს.

საათი მოიგონეს ქრისტეს დაბადებამდის, თუმცა გაუმჯობესობით კი მხოლოდ ამ უკანასკნელ ხანებში გააუმჯობესეს. მყელის მყელად, როცა საათის ხსენებაც არ იყო, დროს მზის შემწეობით ტეობილობდენ. დაკვირვებით შეისწავლა მაშინდელმა ადამიანმა, რა ნაირად ჰვეს ჩრდილს მზე მიწაზედ სხვა-და-სხვა დროსა. ეს იმაზედ არის დამოკიდებული, რა დროს სად არის მზე. შეიტყეს ამასთანავე, რომ მზის ჩრდილი ყველაზედ უფრო მოკლეა შუადღისას, რადგანაც მაშინ მზე უფრო მაღლა დგას და ჰირდაჰირ დასცქერის მიწას. რაკი ნამდვილი-შუადღის შეტეობა შეიძლეს, შემდეგ მნელი აღარ იყო მთელის დღის საათებად დაყოფა, და მაშინვე შეუდგნენ მზის საათების კეთებასაც.

ჩვენს მამაჰასაც სცოდნია ამ გვარ საათების ხმარება. ერთი ამისთანა საათი დარჩენილა ძველი დროიდგანვე მოსასხული გელათის ტაძრის კედელზედ.

ძველს დროში ამისთანა უბრალო საათის კეთებაც ეძნელებოდათ და ახლა, თუ მოინდომებთ, თქვენც ადვილად შეგიძლიანთ იმისი გაკეთება.

დაასვით რგვალ ფიცარზედ სწორად ჩხირი ან ლურსმანი და მზიან დღეში გარეთ გადევით ისეთ ალაგას, სადაც მზე კარგად ადგებოდეს მთელ დღეს. დანიშნეთ ფიცარზე ის ადგილი, სადაც ჩხირის ჩრდილი დაეფინება მზის ამოსვლისას. ყოველ საათში ეს ჩრდილი ადგილს იცვლის. იმ ალაგას, სადაც ყველაზედ უფრო მოკლე ჩრდილი დაეფინოს, შუადღე დანიშნეთ. შეგიძლიანთ აგრეთვე რიცხვით დანიშნოთ, რომელ საათზედ ჩრდილი სად დგას.

თქვენ თითონ დაინახავთ, რომ მზის ამოსვლიდამ— მზის ჩასვლამდის ჩრდილი მოტრიალდება დასავლეთიდამ აღმოსავლეთისაკენ და ამ სახით შეიტყობთ, რა დროს რომელი საათია. მზის საათებს დღესაც ხმარობენ ზოგიერთნი. უნდა გითხრათ, რომ ნამდვილ შუადღეს ვერა საათი ვერ აჩვენებს ისე სწორედ, როგორც მზის საათი.



ამისთანა საათის შემწეობით დღისით,— და, რასაკვირველია, მხოლოდ მაშინ, როცა მზიანი დღე იყო,—ადვილად გებულობდენ დროს. მაგრამ ამისთანა საათებსა ბევრი ნაკლულოვანება ჰქონდა: არც ღამით და არც მოღრუბლულ დღეში არ შეიძლებოდა ამ საათის ხმარება. იმის შესატყობად, თუ რამდენი დრო გავიდა, საჭირო იყო მოეგონებინათ იმისთანა საათი, რომ მუდამ ერთნაირად ეჩვენებინა ადამიანისთვის, რამდენმა დრომ გაიარა.

იფიქრეს, იფიქრეს და ძველადვე მოიგონეს წყლის სა-

ათი. ეი ამ საათს როგორ აკეთებდენ: აიღებდენ რვაკალ ჭურჭელს, რომელსაც ძირი ძალიან წვრილად ჰქონდა გაკეთებული. ამ ჭურჭელში წყალს არ ასხამდენ, ისე ცარიელს ჩაუდგამდენ მეორე ჭურჭელში, რომელიც წყლით იყო სავსე. ქვედა ჭურჭლიდამ წყალი ნელ-ნელა ამოდიოდა ცარიელ ჭურჭელში. რაც უფრო ბევრი წყალი ამოვიდოდა ზედა ჭურჭელში, იმდენად ზედა ჭურჭელი ძირს დაიწევდა და ამით აღნიშნავდა, რამდენმა დრომაც გაიარა. საათებს რიცხვით ნიშნავდენ ხოლმე ცარიელ ჭურჭლის გარეთა მხარეზე.

ამისთანა საათის გაკეთებაც ადვილად შეგიძლიანთ თქვენ.



ეს წყლის საათი ჯერ მოიგონეს დასავლეთ აზიაში. აქედგან გავრცელდა მცირე აზიაში. შემოიღეს ბერძნებმაც. რომაელებმა შეიძინეს ამისთანა საათი მხოლოდ ას სამოცის წლის წინად ქრისტეს დაბადებამდის. მაშინ იმათმა მეფემ ჩამოიტანა ამისთანა საათი უცხო ქვეყნიდამ. ისეთი იშვიათი რამ იყო იმ დროს ეს საათები, რომ ქრისტეს შემდეგაც მეფეები მეგობრობის ნიშნად ამისთანა საათებს უგზავნიდენ ერთმანეთს, როგორც მეიროვასს რამე საჩუქარს.

მაგალითად: ერთმა დიდებულმა მეფემ გაუგზავნა საჩუქრად მეორე დიდებულს მეფეს წყლის საათი. ეს საათი გაუმჯობესებული იყო მით, რომ მზისა და მთვარის მოძრაობასაც აჩვენებდა. უთუოდ იმ ჭურჭელში, რომელშიაც წყალი ესხა, ბორბლები იყო მოთავსებული და ეს ბორბლები მოჰყავდა მოძრაობაში წყლის წვეთებს.

მეორე დიდებულმა მეფემაც მიიღო ამგვარივე საათი საჩუქრად არაბეთის ხალიფის ჰარუნ-ალ-რაშიდისაგან. ეს

საათი კიდევ უფრო გაუმჯობესებული იყო იმითი, რომ ლითონისაგან იყო გაკეთებული. საათს ისარიც ჰქონდა და ისე იყო მოწყობილი, რომ რამდენი საათიც გავიდოდა, იმდენი ლითონის მარცვალი გამოვარდებოდა და ჩავარდებოდა ტაშტში, რომელიც ამ საათს ქვეშ ედგა. ამ მარცვლების რიცხვი აჩვენებდა, რამდენმა საათმაც გაიარა.

ლითონის მარცვლები რომ ჩავარდებოდა ტაშტში, საათის ჰატარა კარებიდამ გამოვიდოდა თითო ფუფალა ცხენოსანი. როცა დღე და ღამე გაიურებოდა, ყველა ეს რაინდები ისევ საათში დაბრუნდებოდენ და კარებს ჩაიკეტავდენ. კარები გაიღებოდა ხოლმე იმ ბორბლების შემწეობით, რომელიც წყალს მოჰყავდა მომრაობაში.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ წყალსაც ჰქონდა ბევრი ნაკლულოვანება: ზაფხულობით, როცა მზე დააჭერს, წყალი, როგორც სხვა ყოველივე ნივთიერებაც, განიერდება, მეტად თხელდება და ხშირად ორთქლადაც იქცევა; ზამთარში კი იყინება. აი ყველა ეს ხელს უშლიდა საქმეს და წყლის საათი ისე რიგიანად ვერ მუშაობდა, როგორც კაცს სურდა.

ახლა იმის ფიქრს შეუდგნენ, იქნება წყალზედ უფრო გამოსადეგი რამე მოეგონათ დრო და ჟამის შესატყობლად. დიდს ფიქრს შემდეგ გადასწყვიტეს, რომ წყლის მაგიერად ეხმარათ ქვიშა, რაც დგანაც წმინდა ქვიშა, თუ კარგად არის გაშრობილი, რაც უნდა წვრილ ჰირიან ჭურჭელში ჩაჭყარონ, მაინც ნელ-ნელა უკანვე გამოვა. აიღეს ქვიშა და ჩაყარეს ორ ჭურჭელში, და შემდეგ ერთი მეორეზედ ეღლებით გადაბეს. ქვიშიანი ჭურჭელი ჯერ ზემოდ მოუქცეს და, როცა ქვიშა ზემო ჭურჭლიდამ ქვემო ჭურჭელში

ჩამოვიდოდა სრულიად, მაშინ გადმოაბრუნებდენ, ქვემო ჭურ-ჭელს ზევით მოუქცევდენ და ზემო ჭურჭელს ქვემოდ. ამას-თანავე გამოანგარიშებული ჰქონდათ, რომ ჭურჭელი იც-ლებოდა ოთხი საათის განმავლობაში. ამ რიგად რამდენ-ჯერაც ჭურჭელი დაიცლებოდა, იმდენი ოთხი საათი გაივ-ლიდა.

ამისთანა საათებს ახლაც ნახავს კაცი ზოგიერთს გე-მზედ.



მაგრამ ვერც ამისთანა საათმა დააკმაყოფილა ადამიანი. ამისთანა საათიც ვერ აჩვენებდა ნამდვი-ლად დროს. მაშინ ადამიანის ჭკუამ მოიგონა ბორბლებიანი საათი, რომლისთვის არ არის საჭირო არც მზის ჩრდილი, არც წყალი და არც ქვიშა. ის ძალა, რომელიც ამ ბორბლებს ატრიალებს, ყო-ველთვის ერთნაირია და არასოდეს არ იმტყუნებს.

ეს ძალა პირველად აღმოაჩინეს სიმძიმის შემწეობით. საათზედ ჩამოჰკიდეს ჯაჭვით ორი მძიმე ლითონის ქვა, როგორც სასწორის ქვებია, მაგალითად. ქვის სიმძიმე ძირსა სწევდა და მოჰყავდა მოძრაობაში საათის ყველა ბორბლები.

ვინ მოისაზრა პირველად ამისთანა საათის გაკეთება, არ იციან. ეს კი იციან, რომ ათასი წლის წინად ერთმა ფრანგის ბერმა გააკეთა ამისთანა საათი. ეს საათი არა რეკდა. მას შემდეგ კიდევ გაიარა სამასმა წელიწადმა და მხოლოდ მაშინ მოიგონეს მრეკელი საათი.

პირველად ამ ათას სამასი წლის წინად გააკეთეს ერთს

ქალაქში საათი კოშკზედ. ეს საათი ეოველ საათის ეკასუელს დარეკდა ხოლმე. გაიარა კიდევ რამდენმამე წელიწადმა და საფრანგეთის მეფემაც დაიბარა გერმანიიდამ შესანიშნავი მე-საათე. ამ მესაათემ გააკეთა პარიკში პირველი დიდი საათი და დაჭიდა მეფის სასახლის კოშკზედ.

ეს საათებიც მთლად უნაკლულო მაინც არ იეო, რადგან აკლდათ საათის ენა: ეს საათისთვის მეტად საჭი-რო და მვირფასი ნაწილი მოიგონა ერთმა მეცნიერმა, სახე-ლად გალილეიმ. ეს მეცნიერი ერთხელ შეეიდა ეკლესიაში და ეურადღებით უცქერდა, როგორ ქანაობდა ზევიდამ ჩამოკი-დებული კანდელი. შენიშნა, რომ კანდელი სულ ერთრი-გად, თანასწორად ქანაობდა. მაშინ გალილეიმ იფიქრა,— სხვა მძიმე რამ ჩამოკიდებულიც რომ შეგანძრიო, მერე დიდხანს არ შეჩერდება და ასე თანასწორად იქანავებსო. ახ-ქარებული თუ უფრო ნელი ქანაობა, იმის ტარის სიგრძე-ზედ იქმნება დამოკიდებულიო. როდესაც ეველა ეს მართალი გა-მოდგა, საათის ენაც მოიგონა. შემდეგში ეს ენა საათს მოახმარეს.

რაკი საათის ენა მოიგონეს, ამას უბის საათის შე-წეობაც მოჰყეა. ამ გვარი უბის საათი პირველად მოიგონა გერმანიელმა კაცმა.

ამ სამასი წლის წინად ამ კაცმა გააკეთა პირველი უბის საათი. თავ-და-პირველად ამ გვარი საათი ნამეტანი დიდი იეო. შესედულობით კვერცხს ჰგავდა, რის გამოც იმისთა-ნა საათს ეძახდენ «კვერცხს». მერე დაიწეეს უფრო პატარა და უფრო ლამაზი საათების კეთება და ბოლოს იქამდის მიახწიეს და უბის საათებს ისე პატარეებს აკეთებდენ, რომ ბეჭედშიაც-კი ჩაისმებოდა.

უკანასკნელად, ამ ორასი წლის წინად, ერთმა ჭოლანდიელ-მა ბევრად გააუმჯობესა ეს საათები. ახლა საათი ისე გაჩ-ეოდა, რომ ბევრ ლარიბსაც ადარ უჭირს იმისი შეძენა.

ბევრი თქვენგანიც უბით ატარებს ამ ჰაწაწინა ნიკოთს, სარ-გებლობს მითი და აქამდის-კი არ იცით, თუ რამდენი უშ-რომიათ ჭკვიან კაცებს, რომ თქვენთვის ამისთანა სასარგებ-ლო ნიკოთი დაეხვედრებინათ.

ეკ. ნიკოლაძისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქროს-მატელოვანი ვერძი
და იასონი

I

საბერძნეთის ერთს ქალაქში, ორხომენში, სცხოვრობდა მეფე, სახელად ათამას. მას ჰყავდა მეუღლე, რომელსაც ერქვა ნეფელა. ნეფელა ძალიან კეთილი ადამიანი იყო. მეფესა და დედოფალს ჰყავდათ ორი შვილი—ქალი და ვაჟი; ქალს ერქვა სახელად ჰელლეი და ვაჟს ფრიკსი.

მეფე ათამასე ერთი ბოროტი კაცი იყო, ცოლი არ უყვარდა და თავის ცუდი საქციელით მუდამ აწუხებდა მას. მაგრამ ნეფელას იმდენად უყვარდა შვილები, რომ ქმრისაგან შეწუხებას უძლებდა და თავის დარდებს შვილების მოვლაში და იმათს ალერსში აქარწყლებდა; იგი ზრუნავდა, კარგად აღეზარდა ყმაწვილები, რომ ბოლოს დამტკბარიყო მათის ბედნიერებით.

მართლაც საუცხოო ყმაწვილები იყვნენ ფრიკსი და ჰელლეი. დასა და ძმას გასაოცრად უყვარდათ ერთმანეთი: ერთმანეთს არ ჰშორდებოდენ, ერთად თამაშობდენ და ისე ტკბილად ატარებდენ დროს, რომ ერთხელაც არავის უნახავს ისინი წაჩხუბებულნი.

სამწუხაროდ, დიდ ხანს როდი ჰღირსებიათ საწყლებს ამისთანა მშვიდობიანი და ტკბილი ცხოვრება: ბოროტმა ათანასემ გაავდო სახლიდგან ნეფელა და მეორე ცოლი შეირთო, სახელად ინო. დაობლდნენ ფრიკსი და ჰელლეი. ამათი დედინაცვალი გულქვავი ადამიანი გამოდგა, სრულიად არ უყვარდა ობლები და არც ებრალებოდა. რიგიანად არც ჭამა ჰქონდათ და არც სმა,—დედინაცვალი ამათთვის არა ფიქრობდა. მას აქეთ, რაც დაობლდნენ, არც რიგიანი ტანისამოსი ჰღირსებიათ. საწყლებს ხშირად მოაგონდებოდათ ხოლმე თავისი დედა, მისი ტკბილი ალერსი და მაშინვე ტირილს მოჰრთავდენ საცოდავად. დედინაცვალს კი გული მოსდიოდა, ასე წამ-და-

უწუმ რატომ იგონებენ თავის დედასო, და როგორც კი შეამჩნევდა ყმაწვილებს, რომ დალონებულნი არიანო, მიჰვარდებოდა და უწყალოდ ცემას დაუწყებდა. ბოლოს საქმე იქამდის მივიდა, რომ ინომ გარდასწყვიტა, სრულიდ მოეშორებინა ისინი თავიდგან.

***

ერთხელ ძალიან ცუდი წელიწადი დადგა; მოსავალი გაფუჭდა. ათამას მეფემ კაცები გაგზავნა ქადაგთან საკითხავად,—რა ღონე ვიხმაროთ, რომ შემდეგში მაინც თავიდგან აეიცილოთ შიმშილობაო. ინომ მოისყიდა ათამასესაგან გაგზავნილი კაცები და ათქმევინა, ვითომ ქადაგის ნათქვამად,—რომ სანამ ფრიკსს მსხვერპლად არ შესწირავენ ღმერთს ზევსსა, სულ ასე მოუსაველიანი წელიწადები და შიმშილობა იქნებაო.

ხალხმა რომ ეს შეიტყო, დაიწყო დრტვინვა და თხოულობდა, რომ ქადაგის ნათქვამი უთუოდ ასრულებულიყო. აბა რა უნდა ვქნათ, თუ სხვა გზა არ არის, რომ ავიცილოთ ღვთის რისხვაო!—ამბობდენ ყველანი: ნება ღვთისა უნდა ასრულდესო. ათამასე ძალაუნებურად დაითანხმეს.

როდესაც ფრიკსი მიიყვანეს სამსხვერპლოსთან და დაკვლა დაუპირეს, უცბად მოუვლინა მას ჰერმეს *) ღმერთმა ოქროს-მატყლოვანი ვერძი, რომელსაც ჰაერში ფრენა შეეძლო, როგორც ფრინველს. ჰერმესმა შესვა ამ ვერძზე ფრიკსი და მისი და ჰელლეი, უბძანა აფრენილიყვნენ ჰაერში და პირდაპირ კოლხიდაში წასულიყვნენ. ჰაერში მოგზაურობის დროს ყმაწვილებს თითო ხელი რქაში უნდა წაეფლოთ ვერძისათვის და მეორეთი კი ერთმანეთს მოჰხვეოდნენ, რომ არ ჩამოვარდნილიყვნენ.

როდესაც ოქროს-მატყლოვანი ვერძი გაქანებული მიფრინავდა ზღვაზე, რომელსაც ახლა დარდანელს უწოდებენ, ჰელლეიმ მისდა

---

*) ჰერმეს ღმერთი იყო მფარველი ვაჭრობისა, მრეწველობისა და მჭერმეტყველებისა.

საუბედურო დ გადახვეული ხელი მოაშორა ძმას, ჩავარდა ზღვაში, და დაიხჩო. ამის გამო დაერქვა ამ ზღვას სახელად ჰ ე ლ ლ ე ს პ ო ნ ტ ი, ესე იგი ჰ ე ლ ლ ე ი ს ზ ღ ვ ა. ბევრი იტირა ფრიქსმა, რომ და დაეღუპა ზღვაში, მაგრამ რაღას უშველიდა! უკან დაბრუნება ხომ შეუძლებელი იყო, და გასწია პირდაპირ, როგორც ნაბძანები ჰქონდა. დიდს ხანს იარა ფრიქსმა, გადაიარა შავი ზღვა და ბოლოს ჩამოხტა შავი ზღვის აღმოსავლეთის ნაპირს, სწორედ იმ ადგილას სადაც შეერთვის ზღვას მდინარე ფაზისი, ანუ ფასის წყალი. აი აქ იყო ძველად სიმდიდრით სახელ-განთქმული ქვეყანა—კ ო ლ ხ ი დ ა, რომელსაც ჩამოუდიოდა დიდი მდინარე—ფაზისი. ეს ფაზისი, ანუ ფასის წყალი, არის ჩვენი რიონი. სახელი კ ო ლ ხ ი დ ა ძველად ეწოდებოდა დასავლეთ საქართველოს იმ ნაწილს, რომელსაც ჩვენ დღეს სამეგრელოს ვეძახით.

***

როგორც კი მოვიდა ფრიქსი კოლხიდაში, მაშინვე ვერძი მსხვერპლად შესწირა ღმერთს და ოქროს-მატყლოვანი ტყავი მისი ძღვნად მიართვა კოლხიდის გამგებელს, ანუ მამასახლისს, რომელსაც სახელად ერქვა ო ე ტ ე ს.

იმ დროს ჯერ კიდევ მეჯობა შემოღებული არ ყოფილა საქართველოში. საქართველო შესდგებოდა რამდენისამე თემისაგან, რამდენისამე საზოგადოებისაგან და თითოეულს საზოგადოებას ჰყავდა არჩეული თავისი გამგებელი, მამასახლისი. მამასახლისი ომში წინამძღვრობდა ხალხს, მშვიდობიანობის დროს განაგებდა შინაურ საქმეებს ისე, როგორც ხალხის სურვილი იყო.

ოეტესმა მეგობრულად მიიღო ფრიქსი, თავის ოჯახში მისცა ბინა და შემდეგ, როდესაც ფრიქსი წამოიზარდა და შეიქნა ლონიერი და ახოვანი ჭაბუკი, მიათხოვა თავისი ქალი. ფრიქსის მირთმეული ოქროს-მატყლოვანი ცხვრის-ტყავი დაჰკიდა ერთს ჭალაში დიდს მუხაზე, რომელიც შეწირული იყო არეს-ღმერთის სახელობაზე, და

მცველად დაუყენა საოცარი გველაშაპი. გველაშაპს არავინ ეძინა და ისე ერთგულად დარაჯობდა, რომ მისი შიშით ვერავის გაებედნა მუხასთან მისვლა და ოქროს-მატყლოვან ტყავის მოტაცება.

ეს იმისთანა ძნელ საქმედ მიაჩნდათ, რომ სახელოვან გმირის მეტი გულშიაც ვერავინ გაივლებდა ტყავის მოტაცებას. თუმცა ბევრს სახელოვანს გმირსაც სულ ტყუილ-უბრალოდ ჩაუარა ცდამ. ერთიც არ დაბრუნებულა უკან ცოცხალი, ვინც კი მიაჰხლოვებია აღკრძალულს მუხას.

მთელს საბერძნეთში გავრცელებული იყო ოქროს-მატყლოვან ცხვრის ამბავი. ყოველი კაცი იმაზე ლაპარაკობდა. ვისაც ის ექნებაო, ამბობდენ, იგი ყოველი ბედნიერებით და სიკეთით აივსებაო. საბერძნეთის გამოჩენილ გმირებს ისე იზიდავდა ეს ამბავი, როგორც ანდამატი. ყველაზე უფრო ფრიკსის ნათესავები იყვნენ მონდომილნი, რომ ხელში ჩაეგდოთ ეს საუნჯე.

***

ათამას მეფეს ჰყავდა ძმა კრეთეასი, რომელმაც საბერძნეთშივე, ზღვის პირად, გააშენა ქალაქი იოლხი. ახლად დაფუძნებულმა ქალაქმა მალე გაითქვა სახელი აღებმიცემობით, და დიდი მიმოსელა ჰქონდა სხვა ქალაქებთან. კრეთეას მეფის მემკვიდრე უნდა ყოფილიყო ვაჟი მისი, ეზონი, მაგრამ მისმა მეორე ვაჟმა, პელიასმა, ძალით წაართვა ძმას მეფობა და იოლხი თითონ დაისაკუთრა. ამას შემდეგ ეზონმა ცოტა ხანს კიდევ იცხოვრა იოლხში. აქ შეეძინა მას ვაჟი, რომელსაც დაარქვეს იაზონი. ეზონი დიდს შიშში იყო, პელიასმა ცუდი არაფერი დაჰმართოს ჩემს შვილსაო; ამიტომ გადიხვეწა მთებში და პატარა იაზონიც თან წაიყვანა. მთებში ეზონი შეეკედლა ცენტავრებს*).

*) ცენტავრებს ეძახდნენ ველურ ადამიანებს, რომელთაც ჰყავდათ დიდი ჯოგი ცხენებისა და ითვლებოდნენ გულოვან ვაჟკაცებად და კარგ ცხენოსნებად. ძველი დროის ბერძნებს წარმოდგენილი ჰყავდად ისინი ცხენკაცებად, ესე იგი ისეთ არსებად, რომელთაც თავი და ზემო ტანი ადამიანისა ჰქონდათ, ქვემო ტანი და ფეხები კი ცხენისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იასონს მიუჩინეს ალმზრდელად ერთი ცენტავრი, სახელად ტიროონი. ტიროონი ჭკვიანი კაცი იყო, გამოცდილება ჰქონდა და თავის გაზდილს ხშირად ავარჯიშებდა სხვა-და-სხვა საგმირო საქმეებში.

იასონი გაიზარდა, შეიქნა ახოვანი, ლამაზი და მამაცი ვაჟკაცი. ოცის წლისა რომ შესრულდა, გამოემშვიდობა მამას, მიიღო დარიგება თავის ალმზრდელისაგან და წავიდა ქალაქს იოლხს, რომ დაებრუნებინა თავის მამისათვის იოლხის სამეფო. იარა, იარა და მიადგა ერთს მდინარეს. მდინარე ადიდებული იყო ავდრებისაგან. გასვლას ვერავინ იფიქრებდა. იასონი არ შეუშინდა წყლის სიდიდეს, ჩავიდა და ფონად ისე გავიდა მეორე ნაპირას, რომ არაფერი დაჰშავებია; მხოლოდ ერთი ხამლი წასძვრა ფეხიდამ და წყალმა მოსტაცა.

როგორც კი მივიდა იოლხს, მაშინვე მოედანზე წავიდა, სადაც იმ ჟამად შეკრებილი იყო იოლხის ხალხი. ავდარში ნამგზავრს წა-

მოსხმული ჰქონდა ვეფხვის ტყავი. ხუჭუჭი თმა მხრებზე ეცვა და ამშვენებდა მისს უმისოდაც მშვენიერს სახეს. ხელში ეპყრა ორი შუბი. ამ სახით თამამად წადგა იაზონი ხალხის წინაშე და საყოველთაო ყურადღება მიიქცია. გაკვირვებული უცქერდა ხალხი უცხო ყმაწვილს. ამასობაში პელიას მეფეც მობძანდა ეტლით. დაინახა თუ არა პელიასმა უცხო ვაჟი, რომელსაც ცალ ფეხზე ხამლი არ ეცვა, ერთბაშად სიკვდილის ფერმა გადაჰკრა, ისე შეეშინდა უცნობ ყმაწვილ კაცისა. უნდოდა გაჰჯავრებოდა და შეეძახნა: გამეცალე აქედგანო, მაგრამ თავი შეიმაგრა. არ უნდოდა დაენახვებინა ხალხისთვის, რომ შიში აქვს რისიმე.

იცით რა იყო მიზეზი, რომ პელიასს ასეთი ელდა ეცა?—ისა, რომ იაზონს ცალ ფეხზე ხამლი არ ეცვა, და პელიასს კი ნათქვამი ჰქონდა ქადაგისაგან: ერიდე კაცს, რომელსაც ცალ ფეხზე ხამლი არ ეცმებაო; იმისაგან მოელოდე ყოველ უბედურობასო.

პელიასმა დაცინვით ჰკითხა იაზონს:—ყმაწვილო კაცო, რისთვის გარჯილხარო? იაზონმა უშიშრად უპასუხა, რომ მე მეკუთვნის იოლხის სამეფო, მე ვარ მემკვიდრე მამიჩემის ეზონისა, და შენ ხელი უნდა აიღო მეფობაზეო.

მერე მიუბრუნდა ხალხს და უთხრა: იოლხელებო, მე თქვენი ქვეყნის შვილი ვარ, ვაჟი ეზონისა და უნდა ჩავიბარო ყოველივე, რაც მამაჩემს ეკუთვნისო.

პელიასი ხედავს, რომ სახუმროდ აღარ არის საქმე და, რომ როგორმე აიცილოს თავიდგან უბედურება, ეუბნება იაზონს: — „კარგი, ჩაგაბარებ ყელაფერს მამაშენისას და მეფობაზედაც ხელს ავიღებ, მხოლოდ, თუ ვაჟკაცი ხარ, ჩვენს ნათესავს ფრიქსს უშველე რამე. მისი სული იტანჯება საქიოს და შველას გვეხვეწება. საწყალი განსვენებას ვერ ელირსება, მანამ არავინ გამოჩნდება ისეთი, რომ წავიდეს კოლხიდაში და დაიხსნას ოქროს მატყლი, რომელიც მას მიურთმევია ოეტესისთვის. თვით ღმერთნი ვალად გვადებენ ამას. სიზმარი ვნახე და ქადაგმაც ასე ამიხსნა. მაგრამ ხომ ხედავ, ჩემო კარგო, მე მოხუცებული ვარ და ვერ შევძლებ იმ სიშორეზე გამგზავრებას. თუ რასმე გვიშველი, ისევ შენ. როდესაც გამარჯვებული დაბრუნდები კოლხიდიდგან, მთელი სამეფო შენი იქნება“.

იაზონმა დაუჯერა პელიასს და შეუდგა მზადებას კოლხიდაში წასასვლელად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუტენბერგი

(წიგნის მბეჭდაობის მომგონი)

I

ახალგაზდა კაცი, ესე თოთხმეტ-თხუთმეტის წლისა, თხასავით მარდად მიდიოდა სიპს კლდეებზე, რომლის თავზე მოჩანდა ძველი კოშკი. კივილმა, რომელიც ჰაერში გაისმა, ცოტა ხანს შეაყენა ახალგაზდა მგზავრი, ხან აქეთ, ხან იქით მიიხედა, მიუგდო ყური, ხომ აღარ გამეორდება კივილი; აღარ მოიცადა და შეუდგა კლდესა; უცბად მოესმა მეორედ კივილი, გულ-საკლავი კვნესა და ხელმეორედ შეაჩერა და შეაწუხა ყმაწვალი.

—ვინა ყვირის? დაიძახა მან თავის ნორჩი, სასიამოვნო ხმით.

ამ დროს ხევიდგან მოისმა შემდეგი სიტყვები:

—ვინც უნდა იყო შენ, მიშველე, საცოდავ მგზავრს: ცხენიანად ჩამოვევარდი უძირო ხევში.

—უძირო შიაო! ძირი როგორ არ ექნება, თუ ზედა სდგეხარ,— მიუგო ახალგაზდა კაცმა და დაეშვა სწრაფად მთიდგან. ამან იცოდა გზები, და ეს ცოდნა ამტკიცებდა, რომ იქაური მცხოვრები იყო. დაეშვა ხევისაკენ, გადიხედა და ჩაჰყვირა: სადა ხარ?

—აქა,—მიუგო ხევწნის ხმით.

—ჰო! კიბის ძირში? მიუკო ყმაწვილმა; მოითმინეთ! ორ თუ სამ გადახტომაზედ გაჩნდა უცნობის გვერდით, რომლის სახის გარჩევა სიბნელის გამო შეუძლებელი იყო.

ჩავარდნილმა მოსჭიდა ხელი და უთხრა:

—თავი და პირი დავიმტვრიე, მიშველე, გამინთავისუფლე უზანგებიდამ ფეხები!! ჯერ ღვთის გულისათვის ცხენი შეიმაგრე, თორემ თუ გაინძრა, მე ცოცხალი ველარ გადავურჩები.

ახალგაზდა მგზავრმა შენიშნა, რომ ცხენი დგას და არც კაცია დამტვრეული; მოიფიქრა, რომ ცხენი კი არ ჩამოვარდნილა, ჩამოურბენია და ქანაობის გამო ზედმჯდომი უნაგირიდამ გადმოვარდნილა და დაკიდებულა. იმან სასწრაფოდ გაუნთავისუფლა უზანგებიდგან ფეხები, ააყენა და დაიყრდნო კაცი თავის ერთს ხელ-

ზედ, მეორეთი ცხენს აღვირი დაუჭირა და შეუდგა კიბეს, გაკეთებულს უფრო ნაკალის ფეხით, ვინემ განზრახ. მოგზაური და ცხენი წამოიყვანა და ამოვიდა ზემოდ. როცა სამშვიდობოს გამოიყვანა, ჰკითხა:

—სად მიხვალო?

—გუტენბერგშიო,—მიუგო, იქ მიმაქვს ჩემი ქალბატონისაგან წერილი; ჩემი ქალბატონია დე-ვან პრეტი; დიაღ, მიმაქვს წერილი სიულ-ჟელოხის ქალთან, მელინასთან.

—ჩემ დასთან? ჰკითხა გაოცებით ყმაწვილმა.

—მაშ თქვენ იოჰან-გენსეფლეიში ხართ, უკანასკნელის მფლობელის შვილი? ჰკითხა კაცმა.

—დიაღ, უთხრა იოჰანმა და თავისთან მოლაპარაკეს დაუწყო სინჯვა იმ დროს ნისლიდგან გამოჩენილ მთვარის შუქზე. იოჰანმა შენიშნა, რომ მსახურმა სახე შეიცვალა და თავი შეიკავა.—მე არ ვიცნობ შენს ქალბატონს და ვერც მივხვდი, თუ რა საქმე უნდა ჰქონდეს ჩემს დასთან,—დაუმატა იოჰანმა.

მსახურს, ეტყობოდა, რაღაც უნდა ეთქვა პასუხად, მაგრამ ჯერ შეფიქრდა, მერე ამოიძრო თავის ჯიბიდგან ჯოხზე დახვეული წერილი და სთქვა:

—-აი ეს გეტყვით ყველაფერსა.

იოჰანმა ვერ მოიკრიფა თავში ფიქრი, თუ რად მოიცვა ის ამ გვარმა გრძნობამ და დაღონდა; გული შეუშფოთდა და მოუმატა სიარულსა. თუმცა ეს უბრალო შემთხვევა იყო, მაგრამ ყველას, ვისაც კი ცნობილი ჰქონდა ცხოვრება გუტენბერგის მცხოვრებლებისა, გააკვირვებდა და შეაშფოთებდა. ამ ყმაწვილის გვარი და სახელი იყო იოჰან-გენსფლეიშ დე-სიულ-ჟელოხი; სახლს და მამულს, რომელშიაც თითონ თავისის დით იდგა, ერქვა გუტენბერგი,—ეს უკანასკნელი სახელიც მიუმატა მერე თავის გვარს, და ბოლოს სულ გუტენბერგად იხსენებოდა.

—ამ ახალგაზდას დაბადებიდგანვე მოუკვდა მამა. დარჩა ამისი დედა ორის ობლითა: ერთი ეს იოჰანი იყო, მეორე ქალი, ამაზე ათის წლით უფროსი. ამათმა დედამ დაჰხედა, რომ დიდი შეძლება, რომელიც იმას ქმრისაგან დარჩა, ეკარგება, რადგან კანონიერმა მოვალეებმა უჩივლეს,—ინაღვლა, ვერ გაუძლო შეძლების დაკარგვის მწუხარებასა და მოკვდა. იმისი ორი ობოლი შვილი გატლეკილები

ეროვნული ბიბლიოთეკა

დარჩნენ. მელინა, იოჰანის და, დედის სიკვდილს შემდეგ თვრამეტი წლისა იყო; იოჰანი კი რვისა.

გაიარა ექვსმა წელიწადმა მას აქეთ, რაც ამათ სახლის კარები, შემდეგ ამათი დედის გარდაცვლისა, დაიკეტა მეგობრებისა, მეზობლებისა და სხვა სტუმრებისათვის, ორი ობოლი ერთი ერთმანეთით ნუგეშობდა. და პაწაწა ძმას უფრთხილდებოდა, ძმა კიდევ დას ართობდა. მელინა გაიზარდა იმ ხეების ჩრდილ ქვეშ, რომელნიც ამშვენებდნენ სიულ-ჟელოხების სასახლესა. იმას ფეხი არ გაუდგამს ბაღჩის ღობეს გარეთ. იმისი დღეები გადიოდა სეირნობასა, წიგნის კითხვას, ფრინველების და ყვავილების მოვლაში. იოჰანი კი გალავან გარეთაც დარბოდა და შეეჩვია ფრიალო კლდეებზე ცოცვას და სირბილს თხასავით. საღამობით და-ძმა შეიყრებოდნენ ოთახში, სადაც მელინა თავიანთ მოხუცი მსახურების, გობერტ და გერტრუდას თანა-დასწრებით, ხმა მაღლა კითხულობდა ლოცვას; შემდგომ ლოცვისა, როგორც ზაფხულობით, ისე ზამთრობით, მზე ჩავიდოდა თუ არა, ერთს საათს შემდეგ, ოთხი მცხოვრები იმ ძველებურის სასახლისა დასაძინებლად წავიდოდნენ ხოლმე.

ცხადია ეხლა, რომ მსახურის მოსვლა წერილით ვიღაც უცნობისაგან საკვირველება იყო ახალგაზდა იოჰანისთვის.

მიადგა თუ არა სასახლის კარებს, იოჰანმა ისე ხმა-მაღლა და გძლად დაუსტვინა, რომ მალე გამოვიდა მოხუცი გობერტი. გობერტს შუბლზე უსიამოვნობის ნიშანი დაეტყო იმ უცნობის დანახვაზე, რომელიც ყმაწვილს ბატონს მოსდევდა.

—ეგ კიდევ სხვა სწავლული იქნება, რომელიც თქვენ სადღაც ხევში გიპოვნიათ და მოგყავთ სტუმრად,—წყენით სთქვა მოხუცმა.

—დიაღ, ხევში! მხოლოდ მე სწავლული არა ვარ,—მიუგო უცნობმა მსახურმა.

—მე სრულიადაც არ მითხოვნია, მაგან თვითონ მთხოვა,—სთქვა იოჰანმა. აბა, გობერტჯან, მიჰყე მაგას სამზარეულოში, ცხენი თავლაში დააბი, მე კი წავალ, ჩემს დას შევატყობინებ გრაფინა დე-ვან პრეტის მოციქულის მოსვლას.

ამ სახელის ხსენებაზე, გობერტმა მელოტ თავიდგან მოიხადა ტყავის ქუდი, თავი დაიხარა და წყნარად უთხრა იოჰანსა:

—გრაფინა დე-ვან პრეტისაგან!?

—შენ იმას იცნობ განა?—ჰკითხა იოჰანმა.

— ის ქალი ძალიან გამოჩინებულია, ძალიან მდიდარია და ძალიან ამპარტავანიც მთელ ქალაქ მაინცში, — სთქვა გობერტმა; რა საკვირველია, მე სიხარულით დავხვდებოდი იმის სახლის მოსამსახურეს, მაგრამ ჩვენ იმდენი სტუმრები გვყავდენ დღეს სადილად და იმდენი ბიჭები სამზარეულოში, რომ არ ვიცი, მოიპოვება კიდე კიდობანში პურის ნატეხიც არის მაინცა, თუ არა?

იოჰანი ვერ მიუხვდა აზრს ამ სიტყვების გაგონებაზედ და ამიტომ გაოცებით შეხედა თავის მოხუცს მსახურსა, რომელმაც იოჰანს გვერდზე გაუარა, რომ ვითომც ცხენის აღვირი ჩამოერთმია, და სწრაფად უთხრა:

— ससუ! თქვენ ჯერ კიდევ პატარა ხართ, და ვერ მიმიხვდებით ეშმაკობას, გაჩუმდით!

იოჰანი სიცილით შეეარდა სასახლის დერეფანში, წინ დახვდა თავისი და, რომელიც, გაეგონა თუ არა თავის ძმის ხმა, წინ დასახვედრად წამოსულიყო. იოჰანმა უამბო გრაფინას მოსამსახურის ამბავი და ისიც, როგორც იტყუა გობერტმ; მელინამ გაიღიმა; მაგრამ იმის სახის მეტყველობა უცბად ისევ მოიღრუბლა.

— რა უნდა ჩემგან იმ გრაფინას, სთქვა მელინამ, შეიდა სასტუმრო ოთახში და აღელვებული დაეშვა ძველებურ სელზედ.

— აი მოვა თვითონ და ნამდვილს იმისაგან შეიტყობთ, — სთქვა იოჰანმა და გავარდა ოთახიდამ.

მელინა შეწუხდა, ფიქრები აერია, მაგრამ მალე მოიკრიბა ღონე, ამოსწია ლამფის პატრუქი, რომელიც ოთახის ერთს ნახევარს ანათებდა და მეორე ნახევარი კი ჩრდილში იყო, და დაუწყო აღელვებით და მოუთმენელად ლოდინი უცნობ მსახურის მოსვლას; იმანაც დიდხანს არ აცდევინა! ახალგაზდა იოჰან სულ-ყელოხი მოუძღოდა წინ, გობერტი და გერტრუდა უკან მოსდევდნენ.

— მერწმუნეთ, — სთქვა მსახურმა, რა თავი დაუკრა, — რომ შემდგომ თქვენის ძმის შემწეობისა, რომელიც იმან მე გამიწია, — თუ ეგ არა, მე გარეული ღორები დამფლეთდნენ, რომლებიც, როგორც ამბობენ, უხვად თურმე არიან ამ ადგილებში, — მერწმუნეთ-მეთქი, ქალბატონო, შემდგომ ამ-ნაირის შემწეობისა, მე ძალიან ვწუხვარ, რომ ის მონდოლილობა, რომელიც უნდა შევასრულო, მე მხვდა წილად.

ჩამოვარდა ამ სიტყვების შემდეგ სიჩუმე. მსახურმა ხელმეორედ მძიმედ დაუკრა თავი, ამოიღო ჯიბიდგან წერილი და ზდილობიანად დასდო სტოლზე, რომლის კუთხეზედაც მელინა იყო დაყრდობილი და ისე ყურს უგდებდა. ახალგაზდა ქალმა აიღო წერილი, აღსნა

ბეჭედი, საჩქაროდ გაშალა, მიიტანა ლამფასთან და კითხვა დაუწყო. მაგრამ ორიოდე სტრიქონს ჩაურბინა თუ არა, მელინა გაფითრდა, დაიკივლა და გული შეუწუხდა.

II

ბებერი კუდიანი.

ვინემ მელინა მობრუნდებოდა, შინაურებმა ყველამ გაიგეს წერილის შინაარსი. სახლი-გუტენბერგი მოვალებისგან გაყოდულიყო უკანასკნელ სულ-ქელოხებთაგანის ვალში, და იყიდა გრაფინა დე-ვანპრეტმა. წერილში ატყობინებდა ამას ძველის გვაროვნობის საბრალო მემკვიდრეს და სხვათა შორის უცხადებდა, რომ ახალი პატრონი მალე მოვა და შევა მაგ მამულის მფლობელობაშიო.

—უთხარით თქვენს ქალბატონს, რომ ის ამ სახლს დაცლილს ნახავს, – სთქვა მელინამ, როცა მოცნობილდა, და დაუმატა: მე ვითხოვ, მამცენ რვა დღე ვადა, რომ შემეძლოს სახლის დაცლა. ეს ვადა ცოტაა,—სთქვა ამან ისეთი მწუხარე ხმით, რომ ყველა მისი მსმენელი ცრემლად დაიღვარა; ჰო, ეს ცოტა დროა იმისთვის, რომ ვუთხრა უკანასკნელად „მშვიდობით!“ იმ ადგილებს, სადაც დავიბადე, სადაც პირველად თვალი ავახილე, სადაც აღსრულდნენ ჩემნი მამაპაპანი!

შემდეგ ამისა, საშინელის ამბის მოციქულს კეთილ-შობილურად ანიშნა, შეგიძლიან წახვიდეო. მელინა ელოდა, უცნობი მალე გასულიყო, რომ ძმისთვის ეთქვა რამ. მსახური გრაფინასი გავიდა.

—იოჰან,—უთხრა ძმას, გული გაიმაგრე!

ბავშვი მხნედ იყურებოდა და თვალში ნამი ცრემლიც არ მოსდგომოდა.

—საბრალოვ! მიუგო დამ.

აქ მელინა სწრაფად მიუბრუნდა მსახურებს, რომელნიც თვალცრემლიანები შესცქეროდნენ.

—ეეეედროთ ღმერთსა!—სთქვა მელინამ და დაიჩოქა.

გობერტმა და გერტრუდამ მიჰბაძეს მელინას, იოჰანი კი ერთ წუთამდე იდგა ღრმად ჩაფიქრებული და გულმტკივნეულად და სიყვარულით შესცქეროდა დას.

—მაშ აგრეა!—უთხრა დას ცოტა საყვედურის კილოზე: შენ მე მაგას მიმალავდი?

— შენ ჯერეთ კიდევ ბავშვი ხარ და არ მსურდა ამეშფოთებინე, არ მსურდა გამემწარებინე! მიუგო მუხლმოყრილმა დამ და გაუწოდა ხელი.

—ბავშვი!? გაუმეორა სიმწარით ახალგაზდა გუტენბერგმა, ბავშვი!? ეს წამი, ეს შემთხვევაა, მელინავ, მე უკბად მოზდილ კაცად მხდის. და მართლადაც, იმის ბავშურ შუბლზე სულის ძალა და გაბედაობა გამოიკვანძა. ჩამოართვა დას გამოწვდილი ხელი, მიიტანა ტუჩებთან და დუმატა: მელინავ! ამ დღიდგან მე შენი პირველი მფარველი და პატრონი ვარ; ვუიცავ, რომ ეს ასე იქნება.

ამის შემდეგ ამანაც მოიდრეკა მუხლი, და მელინამ ჩვეულებრივის ძალით და სასოებით დაიწყო ლოცვა; ამ დროს უცბად მოისმა მძიმე-მძიმედ მოსიარულე ადამიანის ფეხის ხმა ქვის იატაკზე. ბებერმა გერტრუდამ გულზედ მოსულსავით შეჰკივლა:

—ეს-ღა გვაკლდა! ეტყობა, დღეს ჩვენ ლოცვასაც აღარ დაგვაცლიან... აი მოდის ბებერი კუდიანი!

ამ დროს ოთახის მწვანე ხავერდის ფარდა აიწია და გამოჩნდა მაღალი ტანის კაცი, რომელიც კარის დირესთან ერთ წამს შესდგა; იმისი ქუდმოხდილი თავი შემოსილი იყო მშვენიერი ჭაღარა თმითა; ჭაღარა წვერივე სცემდა მკერდამდე.

—თქვენი ლოცვა ჩვენსას მიუმატეთ, ბატონო ლორან კოსტერო!—უთხრა მელინამ.

—მაგის ლოცვები!?—შეჰყვირა გერტრუდამ და გადიწერა პირჯვარი; განა კუდიანები ლოცულობენ?

—გერტრუდავ!—სასტიკად შენიშნა ქალმა: ეს მოხუცი ჩვენი სტუმარია, და, როგორც სტუმარს, ჩვენგან პატივისცემა ეკადრება.

—დიაღ, ჩემო შვილებო!—სთქვა ბერი-კაცმა, რომელმაც, ეტყობოდა, ვერ გაიგონა ქილბატონის და მოახლის ლაპარაკი; დიაღ მე მოველ, ჩაურთა ჩემი ლოცვებიც და ჩემი ცრემლებიც თქვენსას.

—თქვენ განა ყველაფერი იცით?—უთხრა მელინამ.

—ყველა!—მიუგო ბერი-კაცმა და მელინას გვერდით მუხლი მოიდრეკა.

დაიწყეს ლოცვა. მელინა კითხულობდა იმავე გულ-მოდგინებით, როგორც წინადა. ლოცვა გათავდა. ისე ჩანდა, თითქოს არავინ არა სწუხსო, მაგრამ როცა მელინა ადგა, კაცს თვალები ეტკინებოდა იმის დანახვაზედ: საშინელი ფერი ედო.

—ე-ე-ე! გობერტ და შენც, ჩემო კეთილო გერტრუდავ!—უთ-

ხრა მელინამ მსახურებს, სიმწუხარისგან დათუთქულებს: მოვიდა დრო და ერთმანეთს უნდა გავშორდეთ...

—ქალბატონო, გვისტუმრებთ ჩვენა!—წამოიძახა გობერტმა.

—შეძლება აღარა მაქვს, რომ მსახურებად გიყოლიოთ, ჩემო კეთილნო, ჩემო ძველნო მეგობარნო! სთქვა მელინამ და გაუწოდა ხელი; იმათ ცახცახით ჩამოართვეს ხელი. ჩვენს ოჯახს ეკუთნოდა ორი სახლი: ერთი, რომელიც ძალიან მშვენიერი რამ იყო, სახელად გენსფლეიში, დედი ჩემის სიკვდილის წინა დღეებში გაიყიდა; ამ ორი საათის განმავლობაშიაც ეს მეორე სახლი, რომელიც ჩვენ დაგვრჩა, ე. ი. გუტენბერგი, ჩვენ აღარ გვეკუთნის. რა ვქნათ, ჩემო კეთილნო მეგობარნო! ღმერთმა მოგვცა ჩვენ მშობლები და ქონება; ღმერთმავე გამოგვართვა; კურთხეულ იყოს იმისი სახელი!

—იყოს! სთქვა გობერტმა და ცრემლის გუბემ აუვსო თვალები; ამასთანავე ღმერთმა თქვენ მოგცათ ორი მსახური, ერთი მე და მეორე ჩემი ცოლი. ღმერთს ისინი არ წაურთმევია.... რად გვერეკებით, რად გვიშორებთ თავიდგან!

—მე თქვენ გითხარით, გობერტო,—მიუგო მშვიდად და წყნარად მელინამ, რომ მე გავღარიბდი სრულებით, ჭერი აღარა მაქვს, რომ ჩემი ძმა შევაფარო; აღარა მაქვს ლუკმა პური. აბა, რა ვქნა? რა გიყოთ?

—ეაი შენ, ჩემო თავო!... ქალბატონო,—სთქვა გობერტმა თამამად: საითაც თქვენ და ჩვენი ახალგაზდა ბატონი წახვალთ, იქით ჩვენ წამოვალთ; ჩვენ თქვენი ვართ ისე, როგორც თქვენი ორივ თვალი. ჩვენ ვერ მოგშორდებით, ვიცხოვრებთ თქვენთან. ქოხი იქნება, თუ დიდი სასახლე, ვიცხოვრებთ თქვენ გვერდით ყველგან, რომ გემსახუროთ, გასიამოვნოთ, მოვიპოვოთ, მოვიმუშაკოთ ის, რაც საჭირო იქნება თქვენ საზდოდ, თუ კი დაგჭირდებათ.

გერტრუდა არას ამბობდა, მხოლოდ მწარედ სტიროდა; იოჰანი დაფიქრებული იყო. ლორან კოსტერ ხმაამოღებლივ იდგა და ლაპარაკს ყურს უგდებდა. გობერტმა გაათავა თუ არა თავისი უკანასკნელი სიტყვა, მივიდა კოსტერი და გაუწოდა პატივისცემით ხელი.

—გობერტო, შენ პატიოსანი კაცი ხარ,—უთხრა კოსტერმა: მე შენ პატივსა გცემ, როგორც საუკეთესო კაცს-რაინდს. ქალბატონო! —მიუბრუნდა მელინას, რომელიც ცდილობდა ტირილისაგან შეემაგრებინა თავი,—მას აქეთ, რაც შენმა ძმამ მიპოვა გზაზე მომაკვდავი, აგერ ერთი წელიწადი გავიდა; ამან ამაყენა მე, მომიყვანა აქა, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაც მე მიმილეს, როგორც ძვირფასი სტუმარი. მე აქ ვნახე ის, რაც არსად ჩემ სიცოცხლეში არ მინახავს: ანგელოზი ბათნოებისა, მშვენიერებისა, თავგანწირვისა. მოვრჩი თუ არა, რამდენსამე დღის შემდეგ, მე წასვლა დავაპირე აქედგან, მაგრამ გულმა აქაურობის მოშორება ვერ შესძლო. ყოველ საღამოზე გადავწყვეტდი, ხვალ წავალ მეთქი, მოვიდოდა ხვალე, და მე მაინც აქ ვიყავ, გადავსდებდი წასვლას ისევ მეორე ხვალამდე, ახლა კიდევ, ახლა კიდევ...

რადგანაც მე კარგად ვკითხულობდი ყველანაირს ხელთნაწერებს, რაც კი მამიშენის სამლოცველოში იპოვებოდა, რადგანაც მე ვიცოდი ასოების ხატვა და ვხატავდი კიდეც ქაღალდზე, ამიტომ თქვენმა მოსამსახურებმა მე კუდიანობა დამწამეს,—მე იმათთვინ მიმიტევებია. თქვენ კი, ქალბატონო, პატივს მცემდით, როგორც კაცს, მეცნიერების შესწავლისთვის გატაცებულს და წერა-კითხვის მცოდნესა; თქვენ და თქვენს ძმას გსურდათ შეგესწავლათ ის ჩინებული ხელოვნება, რომელიც გადასცემს აზრს ერთის ქალაქიდამ მეორეში, შთამამავლობიდამ შთამამავლობაში. მე ვიყავ ბედნიერი, რომ შევიძელ ამ ნაირად თქვენი მასპინძლობის და ამაგის გადახდა; ვიყავ ბედნიერი უფრო იმითი, რომ არ ვშორდებოდი იოჰან გუტენბერგს, რომელიც მე ისე მიყვარს, როგორც კი მეყვარებოდა ჩემი საკუთარი შვილი...

ქალბატონო! მე კუდიანი არა ვარ; მაგრამ ჩემს თავში ისეთი განძია, რომელსაც შეუძლიან არა თუ ქონება გაუჩინოს კაცს, შეუძლიან აგრეთვე გაუკეთოს სახელი და მიანიჭოს პატივი, გაუხსნას გზა, რომ თავისი სახელი, სასარგებლო სახელი, გადასცეს შემდგომს საუკუნოებს სამარადისო სახსოვრად.... ჯერ ხანად მხოლოდ აზრადა მაქვს გამოკვანძილი და ის აზრი ჯერ მხოლოდ ბჟუტავს და ძლივ თავს ჰყოფს. იოჰან გუტენბერგმა, შენმა ძმამ, უნდა გამოხსნას ის აზრი, განაცხოველოს, განახორციელოს და თავისი სახელი სამუდამოდ ჩაურთოს იმ დიდს საქმეს. ეხლა კი, ქალბატონო, ნება მიბოძეთ მოგართვათ თქვენ, თქვენს ძმას და თქვენს მოხუცს და კეთილს მსახურებს სამაგიერო იმისი, რაც მე თქვენგან პატივი და ამაგი მღირსებია.

მე ქალაქ სტრასბურღის მიდამოში მაქვს ქოხი ბაღჩით, რომელსაც ხეხილის ღობე არტყია. იმ ქოხში ჩვენ ყველანი დავეტევით; ბაღში საკმაოდ არის ჩვენ საზდოდ ბაღეულება და ხილი. იქვე, ბაღის ახლო, წყაროა, რომელიც ბაღსა რწყავს და ანაყოფიერებს. მოწყალე-

ბას ვითხოვ, ჩემი ღარიბი სადგური თქვენად იგულოთ და მოგბრძანდეთ ჩემთან, ბატონებო, და ჩემთან იდგომილოთ.

ვინემ მელინა პასუხს გასცემდა, იოჰან გუტენბერგი ეცა ბერიკაცს, ჩამოართვა ხელი და გულიანად უთხრა:

—მე ყველას მაგიერ ვკისრულობ თქვენს გულ-კეთილობას და თქვენს ნათქვმს, იმისთვის რომ ვგრძნობ ჩემში ძალას, რომელიც მე შეძლებას მომცემს, გადავუხადო კაცს სიკეთე ერთი-ათად. ერთი წამის შემდეგ ყველანი მილაგ-მოლაგდნენ.

III

წასვლა

მელინას ძილი გაუკრთო დარდებმა. ერთი ის აზრი, რომ უნდა დატოვოს სახლი, სადაც იმის სიყმაწვილემ გაიარა, სადაც მიიღო თავის დედის უკანასკნელი ალერსი, სდებდა ყოველს საგანს განსაკუთრებით ფასსა; ყოველი ქვა, ყოველი საგანი რისიმე სახსოვარი იყო. იმან გამოაღო თავის ოთახის კარები და გახედა გრძელ დერეფანს, მკრთალად განათებულს მთვარისაგან, რომლის ვერცხლებრივი შუქი ფანჯრიდამ შემოსჭუოდა და იატაკზე ჩრდილებად დაციმციმებდა. ერთს იმ ჩრდილში მელინას მოეჩვენა თავის დედის მშვენიერი სახე და წასკდა ცრემლები. ამ დროს მახლობელ მონასტერში მოისმა სამწუხარო ზარის ხმა; ღამის სიჩუმე საშინელების ფერს აძლევდა სამწუხარო ხმასა.

—უფალო! — სთქვა მელინამ და მიაქცია თვალები გატეხილს მინას, რომლიდგანაც სჩანდა ლაჟვარდი ცა, მოციმციმე ვარსკვლავებით მოკირწყლული: — მე ჩემთვის არასა გთხოვ; მე ვიცხოვრებ და გავქრები, როგორც ველის ყვავილები, რომელნიც ჰყვავიან, სჭკნებიან, რომლების სუნელოვანება არავინ იცის და უქმად იკარგება; ეჰ, რა იქნება!... მე გევედრები შენ, უფალო, ჩემი ძმისთვის; მიუმატე ჩემი დანაკლისი დღენი იმის სიცოცხლეს; გააორკეცე მაგისი ბედნიერება იმითი, რომელსაც მე გამომართმევ, და იქნეს სახელი შენი კურთხეულ უკუნისამდე!..

ბოლოს დაანება ლოცვას თავი და სიარული დაიწყო. უცბად მოესმა ფეხის ხმა; მაგრამ წარმოიდგინა, რომ იმის მეტს ყველას ეძინა, და ისევ სიარული დაიწყო. მელინა გონიერულად იყო აღზდილი დედისაგან და ამიტომ იმას არაფრისა არ ეშინოდა; მე-

ლინამ არ იცოდა, შიში რა იყო; სხვა-და-სხვა მოჩვენებანი არ სწამდა. ქურდიც ვერ მოიფიქრებდა სასახლეში შეპარვას. რადგანაც დღე-მუდამ გამვლელ-გამომვლელთათვის სასახლის კარი ღია იყო, ამიტომ ყველამ იცოდა, რომ მოსაპარი იქ არა იქნებოდა რა. მელინა უშიშრად და გაბედვით დასეირნობდა. უცბად პირდაპირ დერეფანში ვილაცას თვალი მოჰკრა; ეს იყო იმისი ძმა.

—არ მეძინება, – სთქვა იოჰანმა.

—ნაღველისაგან თუ, რომ ჩვენ ამ ადგილს უნდა თავი ვანებოთ, —ჰკითხა დამ და მოეხვია.

—არა, უთხრა იოჰანმა, სრულიად სხვა მისეზია. მე გამიტეხა ღამე იმ სურვილმა, რომ ენახო სხვა ადგილები და ლორან კოსტერის საიდუმლო გავიგო.

—ეჰ, ჩემო კარგო, ამოოხვრით უთხრა მელინამ; მე სულ სხვა ფიქრები არ მასვენებენ და მიხეთქვენ გულსა.

—იმიტომ რომ შენ დედაკაცი ხარ, - უთხრა იოჰანმა; იმიტომ რომ დედა-კაცები მთელ სიცოცხლეს სახლში ატარებთ. ჩვენი, მამა-კაცების საქმე, სულ სხვაა! ჩვენი მოქმედება სახლის კედლების გარედ სრულდება!... შედი ოთახში, ძალიან გრილი ღამეა, გაცივდები და ხვალ ამ სეირნობის გამო შეიძლება ავად გახდე; შედი, გენაცვა და! მე შენა გთხოვ, მე მსურს, რომ შეხვიდე!

—შენ გსურს! გაიმეორა მელინამ, გაოცებულმა ამ ბრძანებით, ამ სიტყვით, რომელიც პირველად ესმოდა იმას ძმისაგან.

იოჰანი გაჰყვა დას ბალკონზე, საიდგანაც მშვენიერი გადასახედი იყო. ეს სასახლე აშენებული იყო ფრიალოზე, რომელიც დასცქეროდა ახლო-მახლო ადგილებს; ერთი მხრიდგან სჩანდა ქალაქი მაინცი, მეორედგან — უშველებელი ტყეები, რომლებსაც ჩრდილები წამოეყენებინათ; ამ ბუნების მშვენიერებას ანათებდა მთვარე მკრთალი შუქით. ერთი ხელი დას მოჰკიდა, მეორე აიშვირა მაღლა და სთქვა იოჰანმა:

—ეხლა, ჩემო დავ, ათი საათია; მთვარის სიმაღლე ცის სივრცეში მატყობინებს ამას. თოთხმეტის წლის წინად, 1-ს მაისს ათას ოთხასს წელსა, მე ქვეყანაზე გავჩნდი და მარტო დღეს, ამ საღამოზე, ვიგრძენ, რომ მე ბავშვის გული კი არ მიძგერს, არამედ ვაჟკაცისა. დღეიდამ შენს ჩემზე ზრუნვას ბოლო მოეღო; დღეიდამ მე უნდა ვიზრუნვო შენთვის; მხოლოდ დღეიდამ მე ნამდვილი შენი ძმა ვარ, ე. ი. შენი მფარველი. შედი ოთახში! — სთქვა იოჰანმა, რომლის სახემ მიიღო მრისხანე და მედიდური შეხედულობა; შებრუნდი ოთახ-

ში და თუ ვინმე ჩვენგანი უნდა მუყაითობდეს და ფიქრობდეს სხვის მოსვენებაზე, ეს უნდა მე ვიყო. სთქვა ეს და იოჰანმა ნაბიჯ-ბიჯობა-დას წელში ხელი, წყნარად და მძიმედ მიაცილა იგი ოთახის კარებამდე; ბოლოს თავი ამართა და მხიარულად დაუმატა:

—დაო, ხედავ, მე შენზე მაღალი ვარ, მაშასადამე ღმერთიც შენზე მაღლა მაყენებს.

—შენ, იოჰან, არ გაწუხებს,—უთხრა ნაღვლიანად დამ, რომ ეს დღე ხელიდგან გვაცლის სასახლესა?

—მელინა, მთელი ხმელეთი, მთელი ცის ქვეშეთი ეკუთვნის იმას, ვინც მის შესწავლას მოახერხებს, ვინც მას ხელში დაიჭერს! მე იქაც, ლორან-კოსტერისას შევიძლებ, ვიშოვო სასახლე, რომ ჩემს დას პირის სანახავად მივართვა.

საკვირველია, ეს ჩვენი წუთი სოფელი! ერთმა და იმავე შემთხვევამ ყმაწვილს ქალს გული მოუკლა, ყმაწვილს კაცს კი გაუმაგრა. განწირულების ჟამს მელინა დედა-კაცადვე დარჩა; იოჰან-გუტენბერგი კი ვაჟ-კაცად იქცა.

IV

ძმური სიყვარული

რამდენსამე დღეს შემდეგ მელინამ ძმით, ლორან-კოსტერმა და ორმა მოხუცმა მსახურმა ანებეს თავი გუტენბერგის სახლს და გასწიეს ელზასისკენ ორი საბარგული ცხენით. ლორან კოსტერი ამათი წინამძღოლი იყო. ერთ ალაგას გზამ შემოუხვია და სასახლე მიეფარა; აქ თვალცრემლიანმა მელინამ უკან მოიხედა, უნებლიედ აუდუღდა გული, რომ თავისი სახლი ველარ დაინახა.

—მელინავ, უკან ნუ იცქირები, ნუ!—უთხრა იოჰანმა და მიუთითა წინ სოფელზე, რომელიც ალმომავალი მზის სხივებით გაბრწყინვებული იყო; წინ იარეთ, წინ!

—ოჰ, სიყმაწვილევ, სიყრმის მოგონებანო! ოჰ, ჩემო წარსულო ნეტარებავ!—ნაღვლიანად წაიბუტბუტა ქალმა.

—წარსული აღარავის ხელშია, მელინავ, უთხრა იოჰანმა; ჩვენ მხოლოდ აწმყო ლა მომავალი გვეკუთნის; წინ იარეთ—მეთქი, წინ!

ძალიან მძიმედ მიდიოდნენ ჩვენი მგზავრები; მაინციდამ სტრასბურღამდე სამს დღეს მოუნდნენ; მესამე დღეს, მზე რომ დაიწვერა,

ლორან-კოსტერმა დაანახვა პატარა თეთრი სახლი ამწვანებულ სერის წვერზედ და უთხრა მელინას:

—აგერ თქვენი ახალი საცხოვრებელი, ჩემო ნარნარო ქალბატონო!

მელინამ ამოიოხრა და განგებ შესცინა ბერი-კაცს. სადგომი ლორან-კოსტერისა მოსაწონი იყო; ეტყობოდა, ბუნებას ყოველი თვისი საუნჯე დაეხარჯნა ამ პატარა ქვეყნის კუთხის გასამშვენიერებლად; გზა მისდევდა ჭალასა; ჯგუფი ხეები აჩრდილებდენ სახლის შესავალსა. ბაღი გაშენებული იყო სერის კალთაზე; კამკამი წყაროს ნაკადული მიჩხრიალებდა ხეებს შუა, რწყავდა ვენახსა და ჩადიოდა მდინარე რეინში, რომლის ნაპირები შორიდგან სჩანდა. ჩვენი მგზავრები შევიდნენ სახლში, სადაც სულიერი არსება არ მოიპოვებოდა; გობერტი საშინლად გაჰკვირდა, რომ არავინ გამოეგებათ. მელინასთვის ცხადი იყო, თუ რამდენს უსიამოვნობას და ხარჯს მიაყენებდნენ ოთხ-ოთხი სული მოხუცს კოსტერსა.

—ჩემო ძმაო! — უთხრა მელინამ იოჰანსა: აქ უსაქმურობა და უქმად გდება არ გამოდგება. აქედამ ერთი საათის სავალია სტრასბურღამდე; ხვალ იქ წადი და სამუშაო ამიჩინე რამე; ნოტარიუსთან მიიარე, იკითხე, საწერები ხომ არა აქვთ რა. იმ დროში გადამწერი, მერე თუ ლამაზი ხელი ჰქონდა, ძლიერ იშვიათი იყო და ამიტომ გამორჩენაც ჰქონდა.

—სახლი დაალაგეს; გერტრუდა ჯარასავით დატრიალდა, დაალაგა სამზარეულო, სახლი; გობერტი უვლიდა ბაღს და რაც კი სახლს გარედ იყო; ლორანი და იოჰანი მეცნიერებას მიეცნენ. ახალგაზდა იოჰან გუტენბერგს სწავლის სურვილი სწვადა; ამის მასწავლებელს ლორანს კი ის სურვილი, რომ გარდაეცა იოჰანისთვის სწავლა და განათლება.

გაიარა ორმა წელმა. მელინამ, რაკი მუშაობას შეჩვეული არ იყო, წითელი ფერი დაჰკარგა; ჯანი დაუსნეულდა, საცოდავი ქალი განუწყვეტლად იჯდა სტოლთან და თავჩაღუნული სწერდა; ამ ჯაფამ წაუხდინა გული; ლორან-კოსტერმა, რომელმაც სხვა ცოდნასთან ცოტა რამ ექიმობაც იცოდა, შეატყო, რომ მელინა ჭლექდება, და უთხრა იოჰანსა. საბრალო ყმაწვილმა მხოლოდ ეხლა დაინახა ის უბედურება, რომელიც სილარიბეს მოსდევს.

რამდენსამე დღეს იოჰანს კაცის დანახვა ეზიზღებოდა; დღემდე ის იყო მოსიყვარულე გულის კაცი, დაფეთებით უყვარდა თავის და,

ახლა კი იმის ალერსს თავს არიდებდა და სულ ტყეებში დაეხეტებოდა; დღემდე ის იყო მხიარული, კაცის მოყვარული, ახლა კი იმალებოდა, შეიკეტავდა ღამე თავის ოთახის კარებს, საიდამაც მელინას ძმის ფეხის ხმა ესმოდა, მისი ოხვრა, წუწკუნი, ხან მხიარულების ხმა. ყველა ეხათრებოდა და არავინ ეკითხებოდა, თუ რად იყო დაღონებული.

ერთ დილას იოჰანი შევიდა ოთახში ბრწყინვალე და მომხიარულებული სახით. პირველი ნახვა იყო დისა ავადმყოფობის შემდეგ. იოჰანი ეშურებოდა საუზმის გათავებას. გაათავა თუ არა, ადგა, გაიყვანა თანა ლორან კოსტერი და უთხრა ისეთ ნაირის გულის დულილით, თითქოს ეძალება, თითქოს სურს, თავისი სული მეგობარს ჩაუდგასო.

—ის, რასაც თქვენ ოცის წლის განმავლობაში ეძებდით, მე ვიპოვნე. ჩემი დის შემწეობაზე ფიქრებმა ფრთები შემისხეს. თქვენ რას ეძებდით? იმ საადვილო ღონისძიებას, რომლის წყალობითაც გარდაეცემა შთამომავლობას ჭკუის ნაწარმოები და ისეთ — ნაირად გარდაეცემა, რომ თუ ერთს რომელსამე ადგილას დაიკარგება, სხვაგან ველარ დაიმალება.

—საიდამ, როგორ, ჩემო შვილო?—გააწყვეტინა მოხუცმა სწავლულმა უიმედო ღიმილით; ლორანი კაცის ცოდნას წლოვანებით ზომავდა. იოჰანმა ეს ღიმილი ვერ შენიშნა.

—თქვენ რას უჩივით? უჩივით იმას, რომ წიგნები ისე იშვიათია, ისე ძვირია, რომ მოსწავლეებს არა აქვთ შეძლება უსაჭიროესი წიგნებიც არის მაინც მოიპოვონ; იქამდე ძნელი საშოვნია წიგნები, რომ თქვენ, პარიჟში სტუდენტობის დროს, მეტი ღონე არა გქონდათ,—დღე უნდა სადმე გეშოვათ, ვისთვისმე მოგეპარათ წიგნები, რომ ღამე გადაგეწერათ, და ერთი საათის წინა, ვინემ გაკვეთილები დაიწყობოდა, ისევ ჩუმად, ქურდულად პატრონისთვის დაგებრუნებინათ; თქვენ მოანდომეთ ოცდაათი წელიწადი მხოლოდ იმას, რომ პირველ-დაწყებითი ცოდნა მიგელოთ... მას შემდეგ, რას ეძებდით თქვენ თქვენს სიცოცხლეში? ეძებდით მაშინას, რომელსაც უნდა მუდამ დაულალავად ემუშავნა, რომელიც უნდა შეჰფარებიყო ადამიანს.... ახლა ნახეთ!

უკანასკნელი სიტყვები რომ გაათავა, იოჰანმა ამოიღო ჯიბიდგან პაწაწა ხის ნაჭრები, დაყარა ქვიშაზე, თითონ დაიმუხლისთავა და გაამწკრივა. აქ ლორანმა შენიშნა, რომ თვითეული ნაჭერი იყო მრგვალი, გამობერილი და გვანდა ანბანის სხვა-და-სხვა ასოებს;

როცა იოჰანმა ის პაწაწკინტელა ხის ნაჭრები წყობ-წყობად, მწკრივად დააწყო, ბერი-კაცმა წაიკითხა შემდეგი: „ი ო ჰ ა ნ გ ე ნ ხ ფ ლ ი ე ს ი დ ე-ს ი ულ ქ ე ლ ო ხ ი, გ უ ტ ე ნ ბ ე რ გ ა დ წ ო დ ე ბ უ ლ ი.“

—მერე, რაო? რა გამოდის აქედგან?—უთხრა ფიქრებით მოცულმა ლორან-კოსტერმა.

—აი, რა!—უთხრა იოჰანმა: ეხლა, გესმით, მწკრივად რო ჭახრაკებში ჩავაწყოთ ასოები ისე, რომ ასოები არ შეინძრონენ, წაუსვათ ზედ სქელი და უფრო ზეთიანი მელანი, შინაურ მელანზე სქელი, იმ ჭახრაკს გადავაფაროთ თეთრი ქაღალდი და მაგრა მოვუჭიროთ, მაშინ ჩვენ იმ ქაღალდს სულ ერთიანად ასოებით გაჭრელებულს ავიღებთ!... გაიგეთ?...

—ოო, ჩემო შვილო! შეჰკივლა ბერი-კაცმა და სიხარულით ატირდა; ჩემო შვილო, შენ მართალი ხარ, შენ დახსენ ჩემი ფიქრები, შენ მოიგონე წ ი გ ნ ი ს მ ბ ე ჭ დ ა ო ბ ა!

ორი კაცი, ერთი ახალად გამოსული ცხოვრებაში, მეორე კი მიმდგარი საფლავის პირზე, შეუდგნენ ახალი საქმის განვითარებას.

ცოტა რამ მემკვიდრეობამ, რომელიც იოჰანს კიდევ გადარჩა, შეაძლებინა მოეყვანა სისრულეში ეს ახალი საქმე; მელინამაც ამასობაში დაისვენა, და ჯანი ცოტა არ იყოს მოუმაგრდა. პირველი ცდა, პირველი ნაბიჯი სუსტი გამოდგა: ხის ასოები აასხეს ყაითანზე, მაგრამ მოჭერის დროს ჭახრაკში იმტვრეოდა, იღეჭებოდა და ამის გამო სიტყვები უსწორ-მასწოროდ და ულაზათოდ იბეჭდებოდნენ, ასე რომ ხანდისხან ვერც კი არჩევდნენ.

პირველი სტამბა დაფუძნებული იყო ათას ოთხასოცდათვრამეტს წელსა ლორან-კოსტერის და იოჰან გენსფლეიშის-მიერ, რომელმაც ამის შემდეგ დაირქვა გვარად: გუტენბერგი. რამდენისამე ხნის შემდეგ ლორან-კოსტერი გადიცვალა; გუტენბერგი შეეყარა ამხანაგად ოქრომჭედელს ფაუსტს.

ამ სტამბაში წინაპირველად დაიბეჭდა ლათინური დაბადება, შემდეგ დავითნი, რომლეიც თვრამეტის თვის განმავლობაში იბეჭდებოდა, რადგანაც ჯერ განუვითარებელი იყო ახალი ხელოვნება.

1465 წ. გუტენბერგს უბოძეს აზნაურობა. ამისი და, მელინა, არ გათხოვდა, რადგან ძმასთან ყოფნა მის ნეტარებას შეადგენდა და მოკვდა იოჰანის სახლში; იოჰან გუტენბერგმა დის შემდეგ მხოლოდ სამი წელიწადი-ღა იცოცხლა. მიიცვალა 1468 წელსა და დასტოვა თვის შემდეგ უკვდავი სახელი, რომელიც არ ამოიშლება კაცობრიობის მეხსიერებიდამ. ეს სახელია—გუტენბერგი.

ს. მგალობლიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭინჭველები

II

ედა-მიწის ზურგზე ბევრი ჭინჭველა სცხოვრობს, მაგრამ ყველა ერთგვარი როდია. ჭინჭველები მრავალ სახოგადოებად განიყოფებიან და თითო სახოგადოება მეორისაგან განირჩევა ფერით, სიდიდით, თუ ხასიათით. ყოველ სახოგადოებას თავის ყოფა-ცხოვრება ხასიათის შესაფერად აქვს მოწყობილი. წინადვე გსთქვით, რომ თითო სახოგადოებას შეადგენენ დედა-ჭინჭველა, მამალი ჭინჭველა და მუშა-ჭინჭველები.

მუშა-ჭინჭველებს დიდი მნიშვნელობა აქვთ სახოგადოებაში, მრავალ-გვარი მოვალეობა აწევთ კისერზე. იმათ უნდა აგეთონ ბუდე, მოუარონ კვერცხებს, ბარგებს და ჭიებს, მოუარონ და ასაზრდოონ დედა-ჭინჭველა, დაიცვან ბუდე მტრებისაგან, მოამზადონ საზამთროდ საკმელი მთელი სახოგადოებისთვის და სხვა. რომ იცოდეთ, როგორ გულმოდგინებით და მოთმინებით ასრულებენ ეს ბაწაწინა ცხოველები თავიანთ მოვალეობას! ბევრი ადამიანიც კი უნდა შესატროდეს მათ შრომის მოყვარეობას და დაუღალავ საქმიანობას.

აბა ნახეთ, როგორ სელოვნურად აშენებენ თავიანთ ბუდეს? რამდენი რამ მოუგროვებიათ, მოუზიდავთ, რამდენ—ნაირი სერხი უსმარიათ, რომ მათი ბუდე ზამთარ-ზაფხულ გამოსადეგი და ასაიმოვნო იყოს. გარეგანი შესედულებით მათი შენობა დამაზი არ არის, აგებულია მიწისაგან, რომელსაც სიმაგრისთვის სხვა და სხვა მასალა ურევია: ბატარ-ბატარა კენჭები, ხალის ნატეხები, ნაფოტები, ფოთლები და სხვა. ძალიან მარჯვედ მოქმედობს ეს მწერი სადგომის აგების დროს.

ერთი ბატარა ჭინჭველა თავის მაგარი ებებით სამჯერ და ოთხჯერ მასზე უფრო დიდს მასალას მიათრევს; მოიტანს სადგომამდის და დაუსვენებლივ ისევ გზას გაუდგება, რომ კიდევ საჩქაროდ მოაშველოს მასალა. იცის, რომ ეს არის იმისი მოვალეობა და სვინიდისიანადაც ასრულებს თავის საქმეს. იმის მაგალითიც ასე იქცევიან: აი ნეკის სიმსხო ხნირი უშოვია ერთს ჭინჭველას, შუა გზამდის მოუტანია და მერე კი ველარ დაუძლევია.

განა მიატოვებს და შინ ცარიელი წავა, ან სხვა უფრო მსუბუქ მა-

სალას დაუწყებს ძებნას? არა! აი, ათიოდე მისმა ამხანაგმა თავადი მოჭ-
კრა თანამოძმის გაჩირვებას, მეშველა და შეერთებულის ძალით მოსა-
რიეს ჩხირი სადგომადის. სედავთ, ჭინჭველებს რა კარგად ესმით ამ-
ხანაგობა, და საერთო საქმეში ერთი მეორეს როგორ ეხმარება!

როცა ჭინჭველებს რაიმე მასალა უჭირთ და შოვნა კი უძნელდებათ,
ძალიან ხერხიანად და მარჯვედ იქცევიან ამ მასალის მოსაპოვებლად. აი
ამის მაგალითად ერთი სწავლული რას ამბობს: „ერთხელ მშვენიერ მუდ-
რო მაისის დღეში შევნიშნე, რომ ამწვანებულს ხეს ფოთლები სცვივა.
მეტად გამიკვირდა. მივედი ახლო და ვნახე, რომ ხეზე მრავალი ჭიანჭვე-
ლებია. დავკვირდი და შევნიშნე, რომ დიდ მუშაობაში იყვნენ: თავიანთ მა-
კრატლის-მსგავს უბებით კვეცდენ ფოთლებს კენწში და ძირსა ყრი-
დენ. ჭინჭველებისა ერთი რიგი რომ ხეზე მუშაობდა, იმავ დროს მეო-
რე მიწაზე ჩამოცვივნულ ფოთლებს მაითრევდა სადგომისკენ.“

ერთი ბერი მუშა-ჭინჭველებისა რომ მასალის ზიდვაში არის. იმა-
ვე დროს მეორენი ამ მასალას მიწაში ურევენ და სადგომს აშენებენ. ეს
უკანასკნელნიც არა ნაკლებ სინიდისიანად და სიბეჯითით ეკიდებიან საქმეს,
და ძალიან გონიერადაც იქცევიან. სადგომის კედლებს სხვა-და-სხვა მა-
სალებით კარგად ამაგრებენ, რომ თავზე არ დაენგრეთ. ოთახებს ზოგს
ბატარას აკეთებენ, ზოგს დიდს. დიდებს ბოძებს უდგმენ, რომ ჭერი მაგ-
რა დაიჭიროს და სასურავი არ ჩამოინგრეს.

სადგომი რამდენიმე სართულიანია, რომ უფრო გამოსადეგი იყოს
როგორც საუსხიან ზამთარში, ისე ზაფხულის სიცხეში. ქვეითა სართული
ღრმად არის მიწაში გაკეთებული, რომ სიცივემ შიგ არ შეატანოს, ზე-
ვითა სართული კი მიწაზეა.

III

ქვეითა სართულში დედა-ჭინჭველა იმყოფება. ზოგს საზოგადოებას
თითო დედა-ჭინჭველა ყავს. ზოგს ორი, ან სამი. ჭინჭველების საზო-
გადოება დიდს ბატივსა სცემს დედა-ჭინჭველასა, რამდენიმე მუშა-ჭინჭვე-
ლა ყავს მსლებლად მიჩენილი და ეს მსლებელნი მას უვლიან,—ასუფ-
თავებენ, აჭმევენ და ყოველთვის თან დასდევენ, რომ ყოველივე მისი
სურვილი დაუყოვნებლივ ასრულონ.

დედა-ჭინჭველა ბუდეში დახოხავს, დღეში რამდენსამე ასს ან ათასს
კვერცხსა სდებს. ამ კვერცხებსაც ისევ მუშა-ჭინჭველები უვლიან. ახლად
დადებულ კვერცხებს რამდენჯერმე უცვლიან ალაგს და წყობა-წყობად ალა-
გებენ: ხან ზევით სართულში აიტანენ, ხან ქვეით ჩამოიტანენ, იმის მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სედვით, თუ როგორი ამინდია: თბილა, თუ ცივა. ზოგჯერ დასათბობ-ლად კვერცხებს ზედაც ასხდებიან.

როცა კვერცხებიდგან ჭიები გამოდიან, მუშა-ჭინჭველებს შრომა ეძ-ტებათ. ჭინჭველის ჭია ბევრსა სჭამს და დღეში რამდენჯერმე უნდა მიე-ცეს საზრდო. საზრდოობისათვის მუშა-ჭინჭველა თავის პირიდგან ჭიებს პირში წებოს-მსგავსს წვენს ასხავს. მოდიდო ჭიებს თავისათვე შეუძლი-ანთ ჭამა, მხოლოდ საჭიროა, რომ მუშა-ჭინჭველამ საჭმელი მოუზიდოს.

კვერცხებიდგან ჭიები სხვა-და-სხვა დროს გამოდიან, და ამიტომ ერთის ბუდეში ზოგი პატარაა, ზოგი უფრო მოდიდო. ამათ სხვა-და-სხვა გვარი საჭმელი ეჭირვებათ და ამიტომ ჭიები ხნოვანების შესაფერად რამ-დენსამე გროვად არიან განაწილებულნი, და მერე როგორ გონიერულად!

ოთველს გროვას თავის ოთახი აქვს და თავის საკუთარი მომვლე-ლი მუშებიც ჰყავს. ეს გამდლები, გარდა ჭმეგისა, სხვა-ფერივადაც ზრუნა-ვენ ჭიებისთვის: სწმენდენ, ასუფთავებენ თავიანთ ენით და უბებით, აშო-რებენ სიცივესა და სიცხეს და იცვენ მტრებისაგან.

როცა ჭია პარკში გაეხვევა, მუშა-ჭინჭველებს მაინც შრომა არ აკლ-დებათ. პარკებსაც ისე, სითბო-სიცივის მიხედვით, ზიდვენ ერთი საართუ-ლიდამ მეორეში, როგორც კვერცხებს. პარკიდამაც კი ვერ გამოვლენ პა-ტარა ჭიანჭველები, მუშა-ჭინჭველების მიუშველებლად. როცა ჭიანჭვე-ლას პარკიდამ გამოსვლის დრო მოუვა, მუშა-ჭინჭველა გაარღვევს პარკს იმ ადგილს, სადაც პარკში გახვეულ ჭინჭველას თავი უდევს, და მხოლოდ მაშინ შეუძლიან პატარა ჭიას, პარკიდამ გამოძვრეს.

უნდა ნახოთ, როგორ თავ-გამეტებულნი არიან მუშები, როდესაც ბუდეს რაიმე გაჭირვება დაადგება. რომ დედა-ჭინჭველა, კვერცხები, ჭიე-ბი და პარკები გადაარჩინონ. თუ ბუდე დაენგრათ, ჯერ დედა-ჭინჭველას, კვერცხებს, ჭიებს და პარკებს გადიტანენ უშიშარს ადგილს. მტვლებს და-უყენებენ, რომ მტერმა ვერაფერი დაუშავოს. და მასუკან შეუდგებიან სად-გომის შეკეთებას და შესწორებას.

სადგომის შესასვლელ კარებში ოთველგან თითო დიდ-თავიანი ჭინ-ჭველაა დაყენებული, და ეს დარაჯი მოვლეა, თუ ვინიცობაა საიდგანმე მტერი მოადგა ბუდეს, ბუდეში მყოფ ჭინჭველებს აცნობოს. როგორც კი შეიტყობენ, მტერი მოდისო, უნდა უყუროთ, თუ ერთი გროვა მუშა-ჭინჭველებისა როგორ მიისწრაფვენ ბუდეში, დედა-ჭინჭველისა და იმის შთა-მომავლობის მისაპატრონებლად, მაშინ როდესაც მეორე გროვა თავ-გა-მომეტებით ებრძვის მტერსა!..

ეფ. ჯ—ძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

თაფლოს ფეხ-საცმელი

ია ნაირად გაუკვირდა ნადოს, ფანჯრიდან რომ დაინახა მთლად შეთოვლილი სახლის ბანები.

ემაწვილს ძალიან გაეხარდა და მოეწონა თოვლი. გარეთ თოვლია და ეცინება,—ოთახში კი არა ცივა! თბილა კიდეც, ისე რომ ნადოს, თითქოს ზაფხულია, ეელეური და მკლავები შიშველი აქვს.

ნადომ თფალი მოჭერა ჩიტებს, რომელნიც კენკავდენ ბურის ნამცეცებს. ემაწვილის დედას ფანჯარის გარეთ გადაეარა საკენკი.

—რა კეთილია დედა-ჩემი, რომ ზრუნავს ამ ბატარა ჩიტებისთვის,—ფიქრობდა ნადო:—მეტადრე ამ თოვლში რა საზდოს იპოვიან, საბრალონი!...

დედას მხოლოდ ერთი რამ კი დაჭვიწეებია, უნდა ჩულქები და ფეხ-საცმელიც მიეცა. საბრალო ბატარა ფრინველებს უთუოდ ძალიან სცივათ ფეხებზედ. განა თითონ ნადომ არ იცოდა, რომ ფეხშიშველად გავლა თოვლში ძალიან, ძალიან შეაცივებს.

დიდი სიამოვნებით მისცემდა ნადო თავის ფეხსაცმელს, მაგრამ რაში გამოადგებოდათ,—დიდრონი მოუვათ....

ნადოს უცბად ერთი აზრი მოუვიდა თავში:—ჩემს დედოფალას, თაფლოს, ხომ მთელი მზითევი აქვს გაკეთებული! მოდი, გამოვართმევ! თაფლო უარს არ მეტყვის! სიხარულით დაუთმობს თავის ფეხსაცმელს ამ საბრალო ჩიტებს.

მართლაც თაფლომ ხმა არ ამოიღო, როდესაც ნადომ გახადა ჩულქები და ფეხსაცმელი: თაფლოც ხომ ისეთივე კეთილის გულისა იყო, როგორც იმისი პატრონი.

ნადო აცოცდა სკამზედ, გააღო ცოტად ფანჯარა და გადუწყო ჩიტებს ჩულქები და ფეხსაცმელი....

დახეთ იმ უმადურებს! ჩიტები მადლობის მაგიერად დაფთხნენ და შეშინებულნი გაფრინდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელია და გლეხი

(იგავი)

ლეხის საქათმოს მელია შეეჩვია და გლეხს ქათმის სინსილა გაუწყვიტა.

ერთხელ, დილა ადრიან, გლეხი მივიდა საქათმოს დასათვალიერებლად და კარებში მელიას-კი შეეხეჩა. გლეხმა სტაცა კუდში ხელი, დაიჭირა და მოსაკლავად კეტი დაულირა.

—ნუ მამკლავ, გამიშვი,—ევედრებოდა მელა გლეხს, —და ერთს ისეთს სასაცილო ამბავს გეტყვი, რომ არამც თუ შენ, შენს მამაპაპასაც არ გაეგონოსო“.

გლეხმა მელია გაუშვა და უთხრა:

—„აბა შენ იცი, რა ამბავსაც მეტყვიო.“

მელია გადგა განზედ და უთხრა გლეხს:

—„სწორე გითხრა, ბევრი სამასხარაო ამბავი ვიცი, მაგრამ ამაზედ უკეთესს რას გეტყვი: მთელი წელიწადია შენს საქათმოს ვანადგურებ, ერთხელ ხელში ჩაგივარდი და ეხლაც მაინც ცოცხალი გამიშვიო,“—სთქვა და მოჰკურცხლა ტყისკენ.

ან-მან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარტი, აპრილი და მაისი

მარტმა აპრილი სტუმრად დაჰპატიჟა. აპრილმა გამართა ურემი, შეაბა ულელი კამბეჩი და მარტისაკენ გაემგზავრა, მაგრამ მარტმა ისეთი თოვლი წამოუშინა და ისეთი ყოფა დააყენა, რომ აპრილი იძულებული გახდა შინ დაბრუნებულიყო.

მეორე წელს აპრილმა იდროვა და კვლავ გაემგზავრა მარტისაკენ, ურმით-კი აღარ—მარხილით. მარტმა გამოაშუქა მზიანი დღე, ქვეყნიერობას სითბო მოჰფინა, თოვლი სულ დაადნო და წყლები ააღიდა.

საწყალი აპრილი ხელმეორედ უკან დაბრუნდა: მარხილით სიარული შეუძლებელი გახდა.

შეჰხვდა აპრილი მაისს და შესჩივლა თავის უბედურება.

– თუ კიდევ მოიწადინებ მარტთან წასვლას,—უთხრა მაისმა: თან წაიღე ურემი, მარხილი და ნავიო.

გავიდა კიდევ წელიწადი და თებერვლის გასულს აპრილი შეუდგა გზას. მარტმა თავი მოიგიჟიანა; დღეში, ვინ დასთვლის, რამდენჯერ იცვალა ფერი: ხან წამოუშენს, შენი ჭირიმე, ისეთს თოვლს, გეგონება ჰაერი განგებ ბალიშის ბურტყლით აუმსიათო; ხან ააყენებს უცებ ქარიშხალს, გაჰფანტავს ღრუბლებს, გამოაცინებს მზეს, გაახმობს და გააშრობს დედა-მიწას; ხან დაადნობს თოვლის ზვავებს, აატირებს მთებს და ააღელვებს წყლებს.

აპრილი ყურს არ იბერტყს, მგზავრობას არ იშლის; მშრალში ურემს აბამს, თოვლში მარხილით მიდის და წყალში ნავით. ამ გზით აპრილი კარებზე მიადგა გაკაპასებულს მარტს.

მარტმა თავი მოიკატუნა და მოწიწებით ჰკითხა:

—ვინ გასწავლა ჩემთან მოსვლის ხერხიო?

—მაისმაო,—უპასუხა აპრილმა.

გაბრაზდა, გაწიწმატდა მარტი:—დამაცადოს იმ ენატალიკმა მაისმა, მე ვუჩვენებ იმას სეირსაო!

მას აქეთ მარტი გაჯავრებულია მაისზედ და კიდეც იმიტომ არის, რომ ხანდისხან მაისს მარტის დღეები გამოეპარება ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ა ნ დ ა ზ ე ბ ი

1. არ ვიცი ერთია და ვიცი ათასია.
2. ადრე ამდგომსა ყმაწვილსა დედა უმზადებს სადილსა.
3. ამდენ აღმართს თავდაღმართიც ექნებაო.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი

(ქართლში გაგონილი)

არაოდეს მოიშლების, ჩარხივითა მბრუნავია,
ოთხ ნაწილად იყოფების, ყველას ჰქვიან სახელია;
სამი მეტად მშვენიერი, სამი ოქრო მბრწყინვალეა,
სამი მეტად ნოყიერი, სამი მეტად მძვინვარეა.

სახლი თეთრი, უსაძირკვლო,
სასალოქოდ წოდებული,
ხან გახსნილი, ხან შეკრული,
ხან მგზავრი და ხან დებული.

სად არ ყოფილხარ თავის დღეში და მინახვიხარ,
სად არ იქნები თავის დღეში და კი გნახავ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

(იმერეთში გაგონილი)

სული მღვთისა, პირი ხისა,
მუცელი აქვს განა ცხვრისა;
სოფელში დაიარება,
პატრონს უდებს განა წილსა.

გარუჯული, გახუხული
ყურეშია მიგდებული

იყო და არა იყო რა—ღვთის უკეთესი რა იქნებოდა—ქვეყნად სცხოვრობდენ: პაპა, ორი მამა, ორი დედა, ოთხი შვილი, სამი შვილის-შვილი, ძმა, ორი და, ორი ვაჟი-შვილი, ორი ქალი-შვილი, ორი ცოლიანი მამაკაცი, ორი ქმრიანი დედაკაცი, მამამთილი, დედამთილი და რძალი. ყველა ესენი 26 სულს შეადგენენ, ნამდვილად-კი სულ შვიდნი იყვნენ. ოცდა ექვსი სული შვიდზე როგორ ჩამოხდა?

ხალხური ლექსები

ქათამმა ქათამს მისძახა:
— მოსია*) ავად გამხდარა!
ბატი კი მოყიყინებდა:
—მგონია კიდეც მომკვდარა!

სხვითა მოჯამაგირობას ადვილად იტყვის ენაო,
დილიდამ საღამომდისინ არ მქონდა მოსვენებაო!
დილით ძროხაში მგზავნიდენ, საღამოთ ღორისკენაო.
ქორ-მეძებრებს თან მატანდენ, კიდეც ინადირე შენო:
თუ კურდღელი დაიჭირო, ტყავი შენ და ხორცი ჩვენო,
და თუ მელასა დაიჭერ, ხორცი შენ და ტყავი ჩვენო.

---

*) მოსია-მექათმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩქარა-გამოსათქმელი

1. ეგ შენი დაფა-გრიფელი შენ თუ გედაფ-გეგრიფილება, თორემ მე არად მედაფ-მეგრიფილება.
2. ფეფე ტაფაზედ ფეტეს ფშრუტავს.

შარადა

პირველი არის ფრინველი,—
დღისით ვერ ჩნდება შიშითა;
მეორე არის ცხოველი,—
ულელს ეწევა ვიშითა;
მთელს გამოიცნობთ:—კეთდება
აგურითა და ქვიშითა.

სავარჯიშო

აიღეთ ქაღალდის ნაჭერი, ერთს თავში რგვლად ამოსჭერით უზალთუნის ტოლა, როგორც ნაჩვენებია ამ ნახატზედ (I). ამოჭრილის ქვემოდ, სიგრძეზე, კარანდაშის ოდენად, ორ ალაგას კიდევ ამოსჭერით (II და III), ისე რომ ამოჭრილებს შუა ერთი თითის სიგანე ქაღალდი დარჩეს (IV). აიღეთ თუნდ ორი მტკაველი ძაფი და ძაფის წვერები ჩაუყარეთ სათითაოდ გრძლად ამოჭრილებში. მერე ორივე წვერი ამ ძაფისა ამოუყარეთ მრგვლად ამოჭრილში და შემდეგ თითო ძაფის წვერზე მოაბით იმოდენა დაკუმშული ქაღალდი, რომ ამათი გამოძერენა მრგვლად ამოჭრილში სათითაოდაც ვერ შეიძლებოდეს.





აბა ისე გამოხსენით ძაფი, რომ ქაღალდი არ დახიოთ და შეკრული ქაღალდები მრგვლად ამოჭრილში არ გააძვრინოთ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებუსი



№ I-ის გამოცანების ახსნა

1) წელიწადი – თვე—კვირა და დღეები. 2) წიგნი. 3) აბრეშუმის ჭია. 4) წითელი სოკო. 5) ანწლი.

ისტორიულისა: ეს ის ომი იყო, კაენმა რომ აბელი მოკლა:—ქვეყანაზე მაშინ სულ ოთხი ადამიანი იყო ადამი, ევა, კაენი და აბელი. ამათგან ნახევარს, ორს ძმას, ჩხუბი მოუვიდათ და მოკვლით კი მარტო აბელი იყო მოკლული.

სამათემატიკოსი: ასე უნდა ჩამწკრივდეს, ოთხ-ოთხი, აბაზიანები ექვს რიგად:



შარადა: იალბუზი. რებუსი: სახლი დაუგველია.

ისტორიული გამოცანა ახსნილი იყო გორის სამასწავლებლო სემინარიის მოწაფისაგან—ვასო ბიბილაშვილასაგან.

სამათემატიკო გამოცანა ახსნა ტფილისის საოსტატო ინსტიტუტის მოწაფემ ვ. ძეგლეველმა.

რედაქტორი-გამომცემელი ან. თუმანიშვილისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1890 წ. იანვრის თვიდგან

ქ. ტფილისში

გამოიცემა, ორ თვეში ერთხელ, საუმაწვილო სურათებიანი

ქურნალი

ჯეჯილი

წელიწადში გამოვა სულ 6 წიგნი, და თითო წიგნში იქნება ოთხიდამ-ხუთამდე ნაბეჭდი თაბახი, ანუ 64—80-დე გვერდი დიდის ფორმატისა.

„ჯეჯილში“ დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთა ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშო სათამაშონი და საკარჯიშონი, სამათემატიკო ამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ქურნალში მონაწილეობის მიღება აღგვითქვეს ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა.

ქურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ეღირება—3 მან., ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი იქნება 60 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102) და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Барятинская ул., д. № 8).

2) ქუთაისში—ეკ. ნიკოლაძისას.

3) გორში—ეკ. ფურცელაძისას.

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორი-გამომცემელი ან. თუმანიშვილისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

На-дняхъ поступитъ въ продажу

НОВАЯ КНИГА

СЛОВАРЬ КАВКАЗСКИХЪ ДѢЯТЕЛЕЙ

(приложеніе къ справочной книгѣ старожила „Кавказъ“).

Цѣна 20 коп.

Спросить въ книжн. магаз. „Центральномъ“ и Хиддекеля. Тамъ-же продается полный экземпляръ справочной книги „Кавказъ“, ц. 1 р. 20 к.; съ картой и въ папкѣ—1 руб. 50 к.—1-ая часть второго изданія той-же книги (Общій очеркъ. Населенные пункты и дороги), съ картой—цѣна 60 коп.; безъ карты—35 к.

ეროვნული
ბიბლიოთეკა